რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 14 სექტემბერი 1917 წ.

ერთობა

ფასი 12 კაპ.

გაზეთის ფასი: ერთი თვით 2 მან. 60 კაპ., ორი თვით 5 მ. 20 კ., სამი თვით 7 მან. 80 კ., ოთხი თვით 10 მ. 40 კ. ცალკე ნომერი ყველგან 12 კ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—30 კაპ., მეოთხე გვერდზე—15 კაპ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის 6 მ. სასწრაფო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 ნახ. საათისა. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მოწერისთვის ფული უნდა გამოიგზავნოს: Тифлисъ почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба“. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 146 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 146

გულ-დათუთქულნი: მეუღლე ტერეზი გიორგის ასული, შვილები: გუნია კოპალიძისა, სონია და სიმონ ვადაჭკორიასი, გოია (შუშანა), ეპოლინე, იკობი, ნიკო, იოსები და ვასო ხაფთასები, რძლები: ლიდა მიქაელის ასული და ელისო ნანიკოს ასული ხაფთასებისა, შვილი-შვილები: ლიუბა, ნადეჟდა, სევერიანე და ვალოდია უზომო მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქ. თფილისში, 10 ენკენისთვეს

გიგო ნიკოლოზის ძე ხაფთასი

რომლის გამოსვენება მოხდება 14 ენკენისთვეს დღითით ხუთშაბათს, დილით 9 ს. და დაკრძალული იქნება კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე წირვის გადახდის შემდეგ დღისით 12 საათზე. პანაშვიდები ყოველ-დღე საღამოს 6 საათ. ნაძალადევი, პარკოვის ქუჩა № 21. 3—3

პური

მოქალაქენო ნუ ამოგლეჯთ თქვენი პურის ბარათიდან ივლისის და აგვისტოს ტალონებს. გახსოვდეთ რომ სექტემბრის ტალონების გათავების შემდეგ პურს ივლისის და აგვისტოს ტალონებით მოგცემენ.

იხინი, ვინც ივლისის და აგვისტოს ტალონები გააუქმეს, ლიდბანს უპუროთ დარჩებიან.

1—1 ქალაქის სასურსათო კომიტეტი.

პური

იმ დაწესებულებათა საყურადღებოთ, რომლებიც თავიანთ საჭიროებისათვის თითონ აცხობენ პურს.

იმ მიზნით, რომ უფრო დაწვრილებით გამოირკვეს მეფურნეებზე მისაცემ ფქვილის რაოდენობა, აგრეთვე რაოდენობა ქალაქში დასახარჯ პურისა, ქალაქის სასურსათო კომიტეტი სთხოვს ყველა დაწესებულებებს, როგორც მაგ. საინტენდანტოს, საავადმყოფოებს, საზოგადო საცხოვრებელ ადგილებს, წითელ ჯვარს, ქალაქთა და ერობათა კავშირებს და სხვ., რომლებიც აცხობენ პურს კერძო საცხობებში თავიანთ საჭიროებისათვის, აცნობონ სასწრაფოთ ქალაქის სასურსათო კომიტეტის პურის ბიუროში ცნობები, თუ რომელ ფურნეში ცხვება მათთვის პური და რამდენი ფუთი ფქვილი ეძლევა ფურნეს დღეში პურის გამოსაცხობათ.

5—4 ქალაქის სასურსათო კომიტეტი.

პური

ის პირნი, რომელნიც ეკუთვნიან პროფესიათა იმ კატეგორიას, რომლისთვისაც სასურსათო კომიტეტისა და მუშ. და ჯ. ქ. დეპუტატების საბჭოს მუშათა სექციის დადგენილებით გადაწყვეტილია პურის დამატებითი რაციონი, დამატებითი ბარათებს მიიღებენ ქალაქის სასურსათო კომიტეტისაგან. ამისათვის, ფაბრიკა-ქარხნებისა და სახელოსნოების ადმინისტრაცია, პროფესიონალური კავშირები და სხვა ორგანიზაციები, რომელთაც თავიანთი წევრთა და თანამშრომელთა რიცხვში ჰყავთ ისეთი პირები, რომლებიც ფიზიკურად შრომობენ, მოვალენი არიან წარმოადგინონ ქალაქის სასურსათო კომიტეტის პურის ბიუროში სიები მუშებისა, რომლებიც დაწესებულებებში და პროფ. კავშირებში ირიცხებიან, რომელშიაც ნაჩვენები უნდა იქნას, ხელობა რა უბანი, რომელშიაც მუშები სცხოვრობენ, თანვე უნდა წარმოდგენილ იქნას შაქრის ბარათები. მუშების სია უნდა დამოწმებულ იქნას პასუხის მგებელ პირის მიერ და დაწესებულების ბეჭდით.

ის პირნი, რომლებიც ფიზიკურად შრომობენ და არ შედიან პროფ. კავშირში და არ აქვთ მუდმივი სამუშაო ადგილი, დამატებითი ბარათებს მიიღებენ იმ **საუბნო სასურსათო კომიტეტებში**, რომელ უბანშიაც სცხოვრობენ.

(3—2) ქალაქის სასურსათო კომიტეტი.

„მოსავალი“ (урожай)

იხსნება ახალი მომხ. საზ., რომლის მიზანია გახსნას თფილისის ყველა რაიონში პურის საცხობები

კვირას, 17 სექტემბერს, დილის 9 ნახ. საათზე,

ახალ საკრებულოში მიხაილოვის ქუჩა № 131.

შესდგება პირველი დამფუძნებელი კრება

დღის წესრიგი: 1) წესდების განხილვა, 2) ფურნეების გახსნა, სმეტის განხილვა 3) გამგეობის არჩევა და 4) სარევიზიო კომისიის არჩევა.

წევრათ ჩაწერა შეიძლება შემდეგ ადგილებში: დ. კახელაძესთან, ანევის ქუჩა № 9. ნ. ვიგორბინთან—ტრამვაის პარკი. რკინის გზის სახელოსნოში, ვ. ჯომარჯიძესთან ვაგონის ცეხში, ალ. კუდრიაცევთან—სბორნი ცეხი, ან. ქადაგიშვილთან, პ. ხურცილავასთან ლიტეინის ცეხი, გ. ჩიქოვანთან ტოკარნი ცეხი, გრ. ცინცაბაძესთან საქონლის სადგურზე. გ. ზუბკიშვილთან „ალორძინებაში“ ვერის განყოფილებაში, ავლაბარში ამხ. „ალორძინებაში“ ვ. კანტიძესთან ამიერ კავკასიის მომხ. საზ. კავშირში. ორთაჭალაში მ. შალინოვთან ნაძალადევში XI უბნის სასურსათო კომიტეტში და კრების ბინაზე.

დამფუძნებლები დ. კახელაძე და ლ. მარხაგოვი.

ქ. ლანჩხუთში

გაიხსნა მთავრობის სრულ-უფლებიანი

ვაჟების გიმნაზია

ახალი ტიპის (5 კლასიანი), სადაც მიიღებენ უმაღლეს-დაწყებით სასწავ.-კურს დამთავრებულს.

ვისაც ასეთი მოწმობა არ ექნება, იმათ მიიღებენ შესაფერ გამოცდების შემდეგ.

თხოვნები მიიღება 20 სექტემბრამდე. 3—3

პარასკევს, 15 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე,

ქართული გიმნაზიის შენობაში დანიშნულია

ღარიბ მოწაფეთა შემწე თფ. გუბერნიის თავ.-აზნაურთა საზოგ. წევრთა

საგანგებო კრება

კრების საგანი: საკითხი გიმნაზიის ნივთიერი მდგომარეობისა და სწავლის ფულის მომატების შესახებ, მიმდინარე საქმეები და გამგე კომიტეტის წევრთა არჩევნები. ეს კრება, როგორც მეორეთ დანიშნული, კანონიერი იქნება რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს.

აუქციონი.

თფილისის ქალაქის ლომბარდი

საყოველთაოდ აცხადებს, რომ კვირას, 17 სექტემბერს, დილის 10 საათზე, ლომბარდის შენობაში საჯარო ვაჭრობით გაიყიდება ვადა გასული დაგირავებული საგნები, რომლებიც შესდგება ძვირფასი ლითონეულისა და ქვებისაგან, ლითონის საგნებისა, საკერავი მანქანებისა, ნოხებისა, ტყავეულისა, ტანსაცმელისა და საერთოთ ყოველგვარი მოძრავი საქონლისაგან.

სია

ჭიათურის თვითმართველობის სახმოსნო კანდიდატებისა, წამოყენებული სოც.-დემოკრატების მიერ № 1.

1. **ანთელიძე გიორგი ანტონის ძე**, მასწავლებელი, ს.-დ. კომიტეტისა და მ. დ. საბჭოს თავმჯდომარე და აღმ. კომიტეტის წევრი.
2. **ჯაფარიძე სიმონ დავითის ძე**, ექიმი, საქალაქო აღმ. კომიტეტის თავმჯდომარე.
3. **ხუნდაძე გიორგი სილოვანის ძე**, ინჟინერი, ადგილობრივი და საგუბერნიო აღმასრულებელი კომიტეტის წევრი.
4. **მოდებაძე კარპე სპირიდონის ძე**, მადაროს ტეხნიკი, სარაიონო აღმ. კომიტეტის თავმჯდომარე მუშათა დეპ. საბჭოს წევრი.
5. **გურული ზაქარია დავითის ძე**, მადაროს ტეხნიკი, მ. დ. საბჭოს და მის აღ. კომიტეტის წევრი, ადგილობრივ და სამაზრო აღმ. კომიტეტის წევრი.
6. **გაზაძე გალაქტიონ სარიონის ძე**, ქალაქის კომისარი, მ. დ. საბჭოს წევრი, სოც.-დემოკ. კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგი.
7. **მიქაიშვილი ალექსანდრე მიხეილის ძე**, მასწავლებელი, მუშ. დეპ. საბჭოს წევრი.
8. **ჯაფარიძე (სიზანაშვილი) ზაქარია ნიკოს ძე**, ზეინკალი, ს. დ. კომ. და მ. დ. საბჭოს წევრი.
9. **ხარატიშვილი ისიდორე დომენტის ძე**, მანტიორი, სოც.-დემ. კომიტეტის, მ. დ. საბჭოს და მის აღმ. კომიტეტის წევრი და მდივანი.
10. **სიხარულიძე სერაპიონ ანტონის ძე**, მემანქანე, ს.-დ. კომიტეტის, მ. დ. საბჭოს და აღმ. კომიტეტის და ქალაქის აღმ. კომ. წევრი.
11. **თოდუა ეგნატე დავითის ძე**, შავი ქვის მრეწველი, აღმასრულებელ და სასურსათო კომიტეტის წევრი.
12. **წერეთელი ივანე კონსტანტინეს ძე**, მასწავლებელი, ს.-დ. კომიტეტის წევრი და მდივანი.
13. **ფხალაძე გრიგოლ დავითის ძე**, სოციალ-დ-ლი, სარაიონო აღმას. და სასურსათო კომიტეტის და მუშათა დეპ. საბჭოს წევრი.
14. **გაზაძე ნადეჟდა მელიტონის ასული**, კურსისტკა;
15. **ნუცუბიძე გიორგი სპირიდონის ძე**, მემანქანე, აღმასრ. კომიტეტის წევრი!
16. **გალუსტოვი მიხეილ ზაქარიას ძე**, ვაჭარი, ქალაქის აღმ. კომიტ. წევრი ტ ხაზინადარი;
17. **ქაცარავა პავლე სიმონის ძე**, ვაჭარი, დრამატიული საზოგად. ხაზინადარი.
18. **მელიქოვი ვიქტორ ბეგანის ძე**, კონტროლიორი, მ. დ. საბჭოს და სასურ. კომ. წევრი;
19. **მატიევი ბაგრატ წყალობას ძე**, ვაჭარი;
20. **პეპიაძე კალისტრატე კონსტანტინეს ძე**, რკინის გზის ტეხნიკი, აღმ. კომიტ. წევრი.

ხუთშაბათს, 14 სექტემბერს, დილის 10 საათზე მეხამე სამოქალაქო განყოფილების შენობაში (ტურგენევის ქუჩა) შესდგება რ. ს. დ. მ. პ. თბილისის ორგანიზაციის მეცხრე უბნის წევრთა

საერთო კრება.

დღიური წესრიგი: 1) პოლიტიკური მომენტი და მუშათა მილიციის შედგენა (მომხსენებელი ხუდაძე). 2) სასურსათო კრიზისი (მომხსენებელი მ. რუხია), 3) კოლექტივის მოხსენება თავის მოქმედებაზე, 4) სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნები და 5) მიმდინარე საქმეები.

ს.-დ. საარჩევნო კომიტეტი 2 სამილიციო უბნისა, ხუთშაბათს, 14 სექტემბერს, საღამოს 8 საათზედ დანიშნულია

საერთო კრება

ყველა ს.-დ. პარტიის წევრთათვის, მცხოვრებთ 2 სამილიციო უბნისა. დღიურ წესრიგი: 1) არჩევნები სარაიონო კომიტეტის წევრისა. 2) თანამედროვე კითხვები. კრება დანიშნულია პავლოვის ქუჩაზედ, № 9. ვთხოვთ ამხანაგებს ნუ დაიგვიანებენ.

ექიმი გ. მ. მუხაძე

ქობულეთში გამგზავრების გამო შესწყვიტა ავადმყოფების მიღება ენკენისთვის ბოლომდის.

ექიმი ივანე თიკანაძე

იღებს ავათმყოფებს საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18, ტელეფონი № 11—82.

დემოკრატიის გზა.

რევოლიუციონურ დემოკრატიას მეტათ მძიმე მოვალეობა დააწვა—გასაა დემოკრატიული მთავრობის შედგენა. დემოკრატიის მარჯვენა ფრთა, ესე იგი, წვრილ ბურჟუაზიული ელემენტები, წვრილ ბურჟუაზიული დემოკრატია, რომელიც უნდა იყოს არსებითად ხელმძღვანელი დემოკრატიული მოძრაობის, თვითონ კოალიციის მომხრეა ცენზიან ბურჟუაზიასთან. მუშათა კლასის ნაწილიც ამავე გზას ადგია.

გლეხობა, რომელსაც მიზნათ აქვს სოფლათ მემამულეთა კლასის სავსებით გაუქმება მათი მიწების კონფისკაციის საშვალებით, ცხადია, ბურჟუაზიულ კლასებთან ყოველგვარ კავშირის გაწყვეტაზე იოლად თანხმდება.

როგორც შევიწროვებული კაპიტალისტურ ნაწარმოების პირვანდელი ფორმებით, მევახშეობით, სოფლის წურბლებით, და წვრილი ვაჭრებითაც—გლეხი ერთგვარ მტრულ განწყობილებას გრძნობს მთელ ბურჟუაზიულ საზოგადოებისადმი.

ამით აიხსნება ის, რომ თვით მუშათა მასაში, რომელიც ამ გლეხობის წრიდან არის გამოსული და მისი შეხედულებებით გაჟღენთილი, უკიდურეს რადიკალიზმს და წვრილ ბურჟუაზიულ ანარქიულ-მიდრეკილებებს იჩენს.

დაუყონებლივ სოციალიზმის განხორციელება კაპიტალიზმის დამხობით მისთვის აუცილებელი უტოპიაა, რომლის იქით მისი აზროვნება ჯერ ვერ წასულა.

ამნაირათ, წვრილი ბურჟუაზიული აზროვნება იძლევა ორპირულ პოლიტიკას. ერთი მხრით ბურჟუაზიისკენ გადახრას, კოალიციის მოთხოვნას—რაიაც უნდა დაჯდეს, მეორე მხრით—მასთან კავშირის სავსებით გაწყვეტას და დაუყონებლივ სოციალიზმს.

წვრილ ბურჟუაზიული რყევა სწორეთ ასეთ ფორმებს იღებს და იღებდა ყველგან. სწორი პროლეტარული ხაზის გატარება, წმინდა კლასობრივი ტაქტიკის წარმოება, რომელიც ერთნაირათ დაშორებულია, როგორც ამ წვრილ ბურჟუაზიულ შიშს მძიმე მოვალეობის წინაშე, ისე უტოპიურ რადიკალიზმს ანარქო-სინდიკალისტურ ელემენტებისას—მოითხოვს ერთგვარ პოლიტიკურ გაწვრთნას, პოლიტიკურ აზროვნებას, კლასობრივ გაცნობიერებას, რასაც მხოლოდ ხანგრძლივი პოლიტიკური მოღვაწეობა იძლევა. ამიტომ ამ ტაქტიკას იღებს და იზიარებს უმთავრესათ შეგნებული ნაწილი მუშათა კლასისა—მუშათა ინტელიგენცია.

ამ ტაქტიკას ამართლებს თვით ცხოვრების მსვლელობა და იგი გადამწყვეტის ძლიერებით იჩენს თავს ყოველ კრიტიკულ მომენტში, როცა დემოკრატიას საფრთხე მოელის. ასე იყო, მაგ. კორნილოვის შეთქმულებათა დაწყებაში, როცა ბოლშევიკური ლოზუნგებით გაბრუებული მასსა ერთბაშათ გამოერკვა ბურუსიდან და დროებით რევოლიუციონურ მთავრობას გვერდში ამოუდგა ნამდვილ კონტრ-რევოლიუციასთან საბრძოლველათ.

მიუხედავათ გამთიშველ ქადაგებისა და გამწვავებულ ფრაქციულ ბრძოლისა, საპასუხისმგებლო მომენტში, ფაქტიურად მუშათა კლასი უფრო ინსტინქტიურად, ვინემ შეგნებულად, იჩენს თავის ნამდვილ მოვალეობას და სდგამს სწორ ნაბიჯებს.

ამ ნაირად, კლასიური მოქმედება სძლევს ისტორიულ წარსულით ნაკარნახევ ყალბ შეხედულებას.

როგორც გლეხობა, მუშათა მასსის ანარქო-სინდიკალისტური წრეები ბოლოს და ბოლოს იძულებული ხდებიან იმ გზით იარონ, რომელსაც სოციალ-დემოკრატიული მარქსისტული ტაქტიკა უკარნახებს. ეს ტაქტიკა კი ეუბნება, რომ დღეს მუშათა კლასი, როგორც ყველაზე ძლიერი და შეკავშირებული, საერთოდ დემოკრატიულ კლასებში, უნდა გახდეს მეთაური და ხელმძღვანელი დემოკრატიული მოძრაობისა.

წვრილ ბურჟუაზიას არ შეუძლია დამოუკიდებლად თავის ისტორიული როლის შესრულება, როგორც ეს ვერ შესძლო რუსეთის ცენზიანმა ბურჟუაზიამ. და ეს როლი ახლაც უნდა მუშათა კლასმა იტვირთოს.

წვრილ ბურჟუაზიას ერთი-ღა დარჩენია,—ამ ავანგარდს გაჰყვეს და მის ხელმძღვანელობით, მასთან კავშირით დემოკრატიზმი გაამეფოს. ესაა დღეს მისი მოვალეობა და ჩვენ ღრმად გვრწამს, რომ პეტროგრადის თათბირზე, მიუხედავად რყევისა, იგი დაბოლოს ამ ერთად-ერთ სწორ გზას დაადგება.

მეორე მხრივ, ანარქო-სინდიკალისტური ტენდენციები, რომელნიც განმარტოვებისაკენ მიეზიდებიან მუშათა კლასს და დღესვე პროლეტარიატის დიქტატურის გამოცხადებას ისწრაფვიან, ფაქტიურად იძულებული იქნებიან, თავის მყვირალა ფრაზების მიუხედავად, მხოლოდ დემოკრატიულ საქმიანობით დაკმაყოფილდენ. მხოლოდ ამით შეიკვრება მთლიანი რაზმი დემოკრატიისა, მხოლოდ ასეთი შედეგი, ასეთი საქმიანი კავშირი და გაერთიანება დემოკრატიის ყველა ელემენტებისა და მიმდინარეობების იმ კონკრეტიულ დემოკრატიულ მიზნების გარშემო, რომელიც დღევანდელ ისტორიულ მომენტისაგან არის წამოყენებული, მოგვცემს რევოლიუციის გამარჯვებას კონტრ რევოლიუციონურ საფრთხეზე.

ჩერნოვის გაზეთი, „დელო ნაროდა“, უკვე 7 სექტემბრის ნომერში აცხადებს, რომ მომავალი მთავრობა, რომელშიაც სოციალისტების უმრავლესობა შევა, ფაქტიურათ საქმით, მიზნებით იქნება სამინისტრო დემოკრატიული და არა სოციალისტური, მეორე მხრით, თვით ლენინელები, რომელთაც უმრავლესობა მოიპოვეს მოსკოვისა და პეტროგრადის საბჭოებში პირველსავე სიტყვაში იძულებული გახდენ, აღიარებინათ, რომ დემოკრატიის ხსნა დემოკრატიულ ყველა ელემენტების გაერთიანებაში და მთლიანობაშიაო. ეს განცხადებაც სიმპტომატიურია, იგი გამოხატულებაა, მასსის ინსტინქტიურ მისწრაფების. და ცხოვრების ულმობელი მოთხოვნილებები აიძულებენ თვით მასსას, თავის ხელმძღვანელებთან ერთათ, ან მათ წინააღმდეგ, უკუ აგდონ უტოპიური ტენდენციები დაუყოვნებლივი სოციალისტური ექსპერიმენტებისა, გაჰყვენ ერთად ერთ გზას, ერთად ერთ ტაქტიკას, რომელიც მოითხოვს წინა მდებარე დემოკრატიულ მიზნების—ყველა დემოკრატიულ ელემენტების შეკავშირებულ ძალებით გაძლიერებას.

გერმანია-ავსტრიის პასუხი.

გერმანია-ავსტრიის პასუხი პაპის ნოტაზე მრავალმხრივ არის საყურადღებო. ორივე სახელმწიფოს ვრცელი პასუხი კაცობრიობის სალაპარაკო საგნათ გადაიქცა და უეჭველია, იგი მომავალ სამშვიდობო მოლაპარაკებას, მომავალ ზავს, საფუძვლათ დაედება.

საპასუხო ნოტაში ორი მთავარი მუხლია ნაჩვენები, რომელიც არ შეიძლება უყურადღებოთ დატოვოს. იქ, სხვათა შორის, სწერია: მებრძოლ სახელმწიფოთა შორის მოლაპარაკებამ უნდა შეათანხმოს საერთაშორისო გარანტიების შექმნაზე, რომელთა არსებობის დროს შესაძლებელი იქნება, როგორც საზღვაო, ისე საჰაერო ფლოტისა და ჯარის თანდათან იარაღის აყრა და ზღვების ყველასათვის თავისუფლათ გამოყენება.

დღეს გერმანია-ავსტრიის მთავრობა ყველა ქვეყნის იმპერიალისტურ სახელმწიფოებას საყურადღებოთ ჯარისა და ფლოტის თანდათანობით შემცირებას და ზღვების თავისუფლებას მოითხოვს. ახლა მეომარი კოალიციები იძულებული ხდებიან ისტორიულ გზას, ნებსით თუ უნებლიეთ გამოემშვიდობონ და ბაზრებისა და ახალშენების იარაღით შექმნა ძალმომრეობათ აღიარონ.

ის, რაც წინათ იმპერიალისტურ სახელმწიფოებისათვის „ჰუმანიურ“ უფლებათ ითვლებოდა და თავიანთ კონფერენციებზე მილიტარიზმისა და ფლოტის გადიდებას დიდი სახელმწიფოების აუცილებელ საშვალებათ მიაჩნდათ, ამ ჟამათ, როგორც გერმანია-ავსტრიის მთავრობა აცხადებს, უნდა შემცირდეს და საგარეო პოლიტიკას საერთაშორისო სამართლიანობა დაედოს საფუძვლად.

დიახ, კაპიტალისტურმა სახელმწიფოებმა თავიანთ წარმოების წესიდან წარმოშვეს ქვეყნის დამღუპველი საგარეო პოლიტიკა, ხოლო უკანასკნელმა წარმოშვა თავისი ურთ-მყოფელი ტენდენცია. სამ წელიწადზე მეტია, რაც მსოფლიო ომი სწარმოებს და მეომარ სახელმწიფოების ეკონომიური და კულტურული ძალა ისრიტება. შემცირდა ნაციონალური სიმდიდრე, წარმოუდგენლად დავალიანდენ სახელმწიფოები და მთელ მათ ფინანსიური ძალას დღეს თუ ხვალ სრული გაკოტრება მოელის. დავალიანდა არა მარტო აწმყო თაობა, ვალების მორევში ჩაეფლა თვით მომავალი კაცობრიობაც და მათ აღარ შეეძლებათ მილიტარიზმისა და მარინიზმის ძველებურათ გაძლიერება. ობიექტიური პირობები შეიცვალა და შეიცვლება თვით იმპერიალისტური

საერთაშორისო ომი.

რიგის ფრონტზე უმნიშვნელო შეტაკებები ხდება. უმნიშვნელო შეტაკებები ხდება აგრეთვე სამხრეთ-დასავლეთ ფრონტზე.

რუმინიის ფრონტზე, კიმპოლუნგას სამხრეთით რუმინიის მოწინავე რაზმებს იერიშები მოაქვთ.

კავკასიის ფრონტზედაც უმნიშვნელო შეტაკებებია.

საფრანგეთის ფრონტზე ბრძოლა იურტემიზას რაიონში სწარმოებს. დანარჩენ ფრონტზე სიწყნარეა.

ავსტრია იტალიის ფრონტზე ჩვეულებრივი საარტილერიო სროლაა.

სახელმწიფოების მილიტარიზმთან დამოკიდებულებაც.

ამ ნიადაგზე ახლა ყველაზე უწინ გერმანიის სახელმწიფო და მისი გაბატონებული კლასები გამოდიან. უკანასკნელი თავის წარმოების წესით განვითარებული სახელმწიფოა. მისი შინაური სამრეწველო ტეხნიკა გარეშე მტრისაგან შეტევით არ დაზიანებულა, სავაჭრო ფლოტი არ წახდენილა. იგი შედარებით სხვა მეომარ სახელმწიფოებთან, ტეხნიკურად ძლიერი დარჩა. და რომ შემდეგში მსოფლიო ბაზარზე ძლევა მოსილი ფეხი ჩერს, მოითხოვს სახელმწიფოსთვის მძიმე ტვირთის—მილიტარიზმისა და მარინიზმის შემცირებას და ზღვების თავისუფლებას.

ასეთი მოწოდება კაპიტალისტური სახელმწიფოების არსებობაში არ ახალია, ძველია.

ამ ოცი წლის წინათ რუსეთის ყოფილმა იმპერატორმა ნიკოლოზ მეორემ ჰააგის სამშვიდობო კონფერენციაზე შეიარაღების შემცირება მოითხოვა და საერთაშორისო სადაო კითხვების საერთაშორისო სამედიატორო სასამართლოს მეოხებით გადაჭრა წამოაყენა. შეიარაღების შემცირება ნიკოლოზ მეორის ჰუმანიური სულისკვეთებით არ ყოფილა გამოწვეული. იმ დროს რუსეთის ფინანსიური მდგომარეობა გაკოტრების კარამდე იყო მისული და შინაური მრეწველობა-ალებმიცემობა და მეურნეობა სახელმწიფო ხარჯების შემცირებას მოითხოვდა. აი ის ობიექტიური პირობები, რომელმაც ნიკოლოზი შეიარაღების შემცირების მოციქულად გამოიყვანა. მის ასეთ მოწოდებას მხარი დაუჭირა ინგლისის ადმირალმა ლორდ გოშენმა, რომელმაც ჰააგის კონფერენციაზე განაცხადა: ევროპის ყველა ერები მილიტარიზმის ხარჯების მძიმე ტვირთს ქვეშ გმინავენ და საჭიროა ამ ხარჯების შემცირებაო.

მაგრამ მათი მოწოდება დარჩა „ხმათ მღაღადებელისა უდაბნოსა შინა“ და მილიტარიზმის შემცირების მაგიერ გაძლიერება დაიწყო.

ამ ჟამათ საერთაშორისო ობიექტიური პირობები არსებითად შეიცვალა და მსოფლიო ომის ხანგრძლივმა მსვლელობამ მილიტარიზმის შემცირების საკითხი კვლავ დღის წესრიგში დასვა. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ სახელმწიფოების დავალიანებას, ეკონომიურ მდგომარეობას ზედ დაერთო საერთაშორისო დემოკრატიის აღორძინება. უკანასკნელი ახლა უფრო ძლიერია. რუსეთის დიდ რევოლიუციის მეოხებით საერთაშორისო დემოკრატია მედგრათ ამხედრებულია მილიტარიზმის წინააღმდეგ და მის მილიციათ შეცვლას მოითხოვს.

ამიერიდან მეომარი სახელმწიფოების დემოკრატია ვეღარ გაუძლებს ჯარებისა და ფლოტის გადიდებას, უკეთესათ შეიარაღებას და ამიტომაც იგი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას უწევს მას. აი ის ობიექტიური და პოლიტიკური პირობები, რომელიც მილიტარიზმისა და მარინიზმის გაუქმებას მოითხოვს და რომელსაც იძულებით ასე თუ ისე, ეხრობიან გერმანია-ავსტრიის იმპერიალისტები. მაგრამ საერთაშორისო დემოკრატია ჯარების შემცირებაზე არ გაჩერდება და იგი მის მილიციაზე შეცვლას მოითხოვს, რაიც იმედია, ომის შემდეგ ცხოვრებაშიც იქნება გატარებული.

14 მარტი—14 სექტემბერი.

ამ ექვსი თვის წინათ გამოვიდა ისტორიული მოწოდება ყველა ხალხთადმი პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოსი.

ეს ისტორიული დოკუმენტი, ნაყოფი ღრმა მარქსისტულ პოლიტიკის და ერთსულოვანი რევოლიუციონური აღფრთოვანების, საფუძვლათ დაედო რუსეთის და მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის განმათავისუფლებელ მოძრაობას იმ საშინელ და სისხლის მღვრელ ომის წინააღმდეგ, რომელმაც ლამის ამოჟლიტოს კაცობრიობა და გაანადგუროს ას წლობით შექმნილი კულტურა.

ამ ექვსი თვის განმავლობაში რუსეთის რევოლიუციონურ მუშათა კლასის ლოზუნგი: ზავი უკონტრიბუციო და უანექსიო, მთელი ევროპის პროლეტარიატმა თავის საბრძოლველ, სადღესო ლოზუნგათ აღიარა და ყველა მებრძოლ სახელმწიფოებში ამ ლოზუნგის გარშემო სასტიკი რევოლიუციური ბრძოლა გაიჩაღდა.

რუსეთის რევოლიუციონურ ტალღის აწევ-დაწევასთან ერთად თვით იდეა,—მისგან წამოყენებული,—თავის პრაქტიკულ განხორციელებაში აუარებელ დაბრკოლებებს შეხვდა.

ევროპის ბურჟუაზია და ბურჟუაზიული მთავრობები მთავარ მტრებათ გამოვიდნენ ამ იდეის და იმ ბრძოლის, რომელსაც მუშათა კლასი აწარმოებდა.

ამიტომ, რამდენადაც მუშათა კლასი თავს აღწევდა ნაციონალისტურ ბურუსს, მოქალაქობრივი ზავის მომწამვლელ შხამს, და კლასობრივ თვალსაზრისზე დგებოდა, იმდენად იზრდება ბურჟუაზიის მტრობა და შიში რუსეთის რევოლიუციისა და თავის ქვეყნის დემოკრატიის წინააღმდეგ.

ამრიგად, რუსეთის რევოლიუციამ ომით „გაერთიანებული“ ევროპა ისევ დაჰყო ორ ევროპათ, პროლეტარულ და ბურჟუაზიულ ევროპათ. მეომარი სახელმწიფოები დღეს გრძნობენ, რომ ეს წითელი საფრთხე ბევრათ უფრო საშიშია, ვინემ ჰინდენბურგის იერიშები. დაცვა ბურჟუაზიულ ურთიერთობის უფრო საინტერესოა, ვინემ დაპყრობა, ახალშენების შექმნა, კონტრიბუციები და სხვ.

მეომარი ბურჟუაზიული ევროპა ცდილობს ხელი გაუწოდოს ერთი-მეორეს და პროლეტარიატს დაუპირდაპირდეს.

აი ასეთი შედეგი მოიტანა 14 მარტის მოწოდებამ.

მართალია, მუშათა ინტერნაციონალის აღდგენის საკითხი ორგანიზაციულად დღესაც განუხორციელებელია. სტოკჰოლმის კონფერენციის მოწვევა ევროპის ბურჟუაზიულ მთავრობათა წინააღმდეგობის გამო გადადებულია, მაგრამ მთლიანობა და იდეური შეთანხმება თითქმის ყველა ერის მუშათა კლასის უკვე მიღწეულია. იდეურათ ევროპის შეკავშირებული მუშათა კლასის დიდი უმრავლესობა უკვე 14 მარტის ლოზუნგების გარშემო არის შემოკრებილი.

ამით ბოლო ეღება იმ ძალთა დაქსაქსვას, რომელიც ომის პირველ წლებმა მოგვცეს და ჩვენ ღრმათ დარწმუნებული ვართ, რომ შემდეგში რუსეთის რევოლიუციის გაღრმავება-განვითარებასთან ერთათ, 14 მარტის იდეა კიდევ უფრო გაძლიერდება, ინტერნაციონალის აღდგენა კონკრეტიულ სახეს მიიღებს. ხოლო აღდგენა ინტერნაციონალის ნიშნავს იმავე დროს საუკეთესო თანამებრძოლის და საუკეთესო მოკავშირის შეძენას რუსეთის რევოლიუციისათვის.

გაუმარჯოს ინტერნაციონალს!

გაუმარჯოს რუსეთის რევოლიუციას!

გაუმარჯოს ზავს უანექსიოთ და უკონტრიბუციოთ!

პრესა.

5 სექტემბრის ნომერში პეტროგრადის „უწყებები“ ეხება საკითხს რევოლიუციონური ორგანიზაციების პოლიტიკის შესახებ და შემდეგ აზრს გამოსთქვამს:

„დემოკრატიის რევოლ. ცენტრალურ ორგანოების მუდმივი მისწრაფება იმაში მდგომარეობდა, რომ არც ერთი საზოგადოებრივი ძალა ქვეყნისა არ ჩამოეშორებინათ უდროვოთ და საფუძვლიანათ ამოეწურათ ყველა ის ძალები, რომელნიც ჭეშმარიტათ დაინტერესებული არიან რევოლიუციურ სახელმწიფოს არსებით მოთხოვნილებათა მიერ წამოყენებულ მიზნების განხორციელებაში. ეს არის ძირითადი ხაზი, რომელზედაც მტკიცეთ და შეურყევლათ დგანან დემოკრატიის რევოლ. ორგანოები და რომელიც შეძლებას აძლევდა მათ ყოველ მომენტში შეერთებინათ ყველა ცოცხალი ძალები და ამით თავიდან აეშორებინათ თავის მემარცხენე ფრთის იზოლიაცია (განცალკევება), რაიც მხოლოდ ამ უკანასკნელის დამარცხებას გამოიწვევდა და ამით თვით რევოლიუციას დაღუპავდა.

ამაში, და არა კადეტებთან კოალიციაში, გამოიხატება საბჭოების ტაქტიკა. ეს ტაქტიკა მოითხოვდა რევოლიუციის განსაზღვრულ მომენტში კადეტებთან კოალიციას; ეხლა იგივე ტაქტიკა თხოულობს ამ კოალიციის დარღვევას“.

ეს ტაქტიკური შეხედულება სწორი და შეურყეველია, იგი ნაკარნახებია მარქსისტულ მსოფლმხედველობისაგან და ერთად-ერთ რევოლიუციონურ ტაქტიკათ უნდა ჩაითვალოს, რომელსაც შეუძლია სწორი გზა უჩვენოს დემოკრატიის რევოლიუციის მღელვარე ტალღებში. ამ ხაზზე სიარულმა მისცა დემოკრატიას ძალა ყველა საფრთხის თავიდან ასაცილებლათ; ამან დაამარცხა კორნილოვშჩინა, ეს მისცემს ძალას დღესაც დემოკრატიას თავის მძიმე და გართულებულ მოვალეობის შესასრულებლათ.

თვით დემოკრატიული ყრილობის მოწვევაც ამავე ტაქტიკურ მოსაზრებით არის გამოწვეული:

„გადაწყვეტილება ყრილობის მოწვევის შესახებ, რომელმაც თავისი გადამწყვეტი სიტყვა უნდა სთქვას რევოლიუციონურ მთავრობის ორგანიზაციის და მისი ფორმის შესახებ, ნაკარნახებია იმავე მისწრაფებით, რომ საზოგადოებრიობის მთელი ყურადღება შემოკრებილ იქნეს ამ საერთო-ნაციონალური საჭირბოროტო საკითხების გარშემო და ყოველივე ზომებით აცილებულ იქნეს თავიდან იზოლიაცია რევოლიუციონურ ავანგარდის, და ამ უკანასკნელს არ ჩამოშორდეს საერთოთ დემოკრატიული მასსა, რომელიც ნელ ნელა, მიხვევ-მოხვევით, მისდევს მას უკან“.

სწორეთ საგულისხმო და დიდი მიზანია, რომლის ასრულება ყრილობის უმთავრეს მოვალეობას შეადგენს. და თუ მან ამ მიზანს მიაღწია, რუსეთის რევოლიუციის დემოკრატიულ საფუძველზე დამთავრება უზრუნველყოფილი იქნება.

დეპეშები.

(პ. დ. ს.)

13 სექტემბერი.

პეტროგრადის მუშებისადმი მოწოდება.

პეტროგრადი. გამოაქვეყნეს პეტროგრადის მუშა ქალების და კაცებისადმი მოწოდება, რომლითაც უარჰყოფენ ვიღაცის მიერ გავრცელებულ პროვოკაციულ ხმებს, თითქოს პეტროგრადის მუშები ეხზადებოდენ 12 სექტემბერს გამოვიდენ ქუჩაში. მოწოდებას ხელს აწერენ პეტროგრადის ყველა რევოლიუციონურ დემოკრატიული ორგანიზაციები.

დემოკრატიულ თათბირის ორი დღით გადადება.

პეტროგრადი. რადგან დემოკრატიულ თათბირზე მოწვეულ დელეგატებისაგან აუარებელი განცხადებები მიიღეს, რომ მათ არ ძალუძთ მოასწრონ 12 სექტემბერს პეტროგრადს მისვლა და თათბირზე დასწრება, პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმმა დაადგინა 12 სექტემბრის მაგიერ 14 სექტემბერს გახსნას თათბირი.

მუშების დახვრეტა რიგაში.

პეტროგრადი. ნემცების მიერ რიგის დაპყრობის შემდეგ იქიდან გამოქცეულმა მუშა-ლატიშის სიტყვით იქ შემდეგი ამბავი მომხდარა: ნემეცთა სამხედ. მთავრობის განკარგულებით მუშების განსაზღვრულ რიცხვს სამხედრო სამუშაო უნდა დაეწყოთ რიგის დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის ხელმძღვანელობით ამ სამუშაოზე დანიშნულმა მუშებმა უარი განუცხადეს მუშაობაზე; გერმანიის მთავრობამ ამ ამბის გამო აღმასრულებელ კომიტეტის ექვსი წევრი დახვრიტა.

შეტაკება ელისავეტოგრადში.

ელისავეტოგრადი. ერთმა პროვოკაციულმა სროლის ხმამ დიდი სისხლის ღვრა გამოიწვია ელისავეტოგრადის სადგურზე, შეიტაკნენ იუნკრები, ულანები, რომლებიც სადგურს იცავდნენ და ჯარისკაცები. მოკლულია იუნკერი და სამი უცნობი პირი, დაჭრილია 21, მათ შორის სერიოზულათ გუსარების უფროსი იანკოვსკი, სადგურის კომენდანტი დაიჭირეს. იუნკერთა ჯგუფს იარაღი აჰყარეს და სატუსაღოში გაგზავნეს. ჯარისკაცებს უნდოდათ სატუსაღოს ახლოს იუნკრებზე თვითგასამართლება მოეხდინათ. ერთმა იუნკერმა რევოლვერით თავი მოიკლა, ამავე ტყვიით დაიჭრა მახლობელი ჯარისკაცი. ქალაქს ულანები დ ყაზახები იცავენ. მდგომარეობა გამწვავებულია. სასწრაფო ზომებს იღებენ, რომ ექსცესები არ მოხდეს. რევოლიუც. კომიტეტმა აკრძალა თავის მოყრა. დეპუტატთა საბჭომ მოუწოდა ჯარისკაცებს დაწყნარდნენ და იუნკრებს ძმური ხელი გაუწოდონ.

როგორც იტყობინებიან კონფლიქტს ბოლო მოეღო. იქ გაემგზავრენ რუმინიის ფრონტის აღმასრულებელ კომიტეტის და ქალაქის საბჭოს წარმომადგენლები და კომისარის თანაშემწე.

ზავის შესახებ.

პეტროგრადი. საგარეო საქმეთა სამინისტრო იტყობინება, რომ ტყუილია ზოგიერთ გაზეთებში გავრცელებული ხმები ზავის შესახებ, ტყუილია ისიც თითქოს ბერნის კონფერენციას დიდ მნიშვნელობას აძლევდენ. ამ კონფერენციაში არც რუსეთი და არც მოკავშირე სახელმწიფოები მონაწილეობას არ იღებენ.

ყაზახების კრება.

ნოვოჩერკასკი. მოხდა ყაზახთა ჯარების წრის პრეზიდიუმის კრება, რომელსაც დაესწრენ ყაზახთა ჯარების მთავრობა, მამასახლისები, მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის წარმომადგენელი. სკობელევი და თერგის და ყუბანის ოლქის ყაზახთა წარმომადგენლები, რომ გამოერკვიათ ის გარემოება, რამაც გამოიწვია დონის აჯანყების შესახებ ხმების გავრცელება. სკობელევი შეეკითხა, რატომ გადაჰყავდა-გადმოჰყავდათ დონში ჯარები და რატომ დადიოდა ოლქში კალედინი. ჯარების მთავრობა შეეკითხა სკობელევს, რამ აიძულა მთავრობა დონის წინააღმდეგ ამხედრებულიყო. სკობელევს უპასუხა ბაგაევსკიმ, რომ ჯარების გადაყვან-გადმოყვანა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ გლეხები მიწებს იტაცებდნენ და საჭირო იყო წესიერების დაცვაო. ყუბანის წარმომადგენელი პროტესტს აცხადებს კერძო ორგანიზაციის წარმომადგენლებს ანგარიში მისცენ ჯარების გადაყვან-გადმოყვანის შესახებ. სკობელევი წინადადებას იძლევა შეადგინონ კომისია საქმის ყოველმხრივ გამოსარკვევათ და სიხარულს აცხადებს, რომ პროვოკაცია არ გამართლდა.

ერთა ყრილობა.

კიევი. გაიხსნა რუსეთის ერთა წარმომადგენლების ყრილობა. პირველად ილაპარაკა ყაზახთა ჯარების წარმომადგენელმა ივანოვმა. ის მიესალმა ყრილობას და სთხოვა დამფუძნებელ კრებაზე მხარი დაუჭირონ ყაზახების თვითგამორკვევის საკითხის გადაწყვეტას. ყაზახებმა იგემეს თავისუფლება—ამბობს ორატორი და მას უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ხელიდან არ გაუშვებენ. თვითმპყრობელობა ჩაბარდა სამარადისოს, მისი ხსენება აწი აღარ იქნება. ერთად ერთი წეს-წყობილება, რომელიც ყაზახობას სურს, არის ფართე ფედერატიულ საფუძველზე დამყარებული დემოკრატიული რესპუბლიკა. დასასრულ ორატორი კითხულობს ყაზახთა 13 ჯარის დეკლარაციას. დეკლარაციაში ნათქვამია, რომ დემოკრატიული რესპუბლიკა რუსეთში ისე უნდა მოეწყოს, როგორც ჩრდილოეთ შეერთებულ შტატებში. საერთო სახელმწიფოებრივი ენა უნდა დარჩეს რუსული, ხოლო თითეულ ფედერატიულ ერთეულს ექნება საკუთარი სამშობლო ენა. ომის გათავება შეიძლება მხოლოდ გერმანიის მილიტარიზმის საბოლოოთ განადგურების შემდეგ. შემდეგ ლაპარაკობენ საპატიო თავმჯდომარეთ არჩეული გრუშევსკი, დროებითი მთავრობის წარმომადგენელი სლავინსკი, შულგინი და პეტლიურა, რომლებიც რუსეთის პოლიტიკურ და ნაციონალურ თავისუფლების უზრუნველყოფას ხედავენ ავტონომიურ ფედერატიულ წეს-წყობილების შემოღებაში. დასასრულ ლაპარაკობს ქართველი სოციალისტ-ფედერალისტი ბარათაშვილი. ის მოუწოდებს რუსეთის ხალხს მეგობრულათ გაუწოდონ ერთი მეორეს ხელი და შექმნათ საზოგადო ცხოვრება. საქართველო ახლო მომავალში იტყვის თავის სიტყვას დამოუკიდებლობის შესახებო, სთქვა ორატორმა.

დეპუტატთა საბჭოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის კრება.

პეტროგრადი. 10 სექტემბერს პეტროგრადის დეპუტატების საბჭოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის კრებას დაესწრენ სამხედრო მინისტრი ვერხოვსკი და ზღვათა მინისტრი კონტრ-ადმირალი ვერდერევსკი. ერთმაც და მეორემაც დაწვრილებით აღნიშნეს ჯარისა და ფლოტის დღევანდელი მდგომარეობა და გადაჭრით განაცხადეს, რომ ჯარისა და ფლოტის გასაძლიერებლათ და რუსეთის და რევოლიუციის დასახსნელათ საჭიროა ბოლო მოეღოს ჯარში და ფლოტში იმ არა ნორმალურ მდგომარეობას, რომელსაც ამდენ ხანს ჰქონდა ადგილი და მის ნაცვლათ დამყარდეს საქმიანობა და წესიერება. ორივე მინისტრის სიტყვას კრება ტაშისცემით შეხვდა. დასასრულ ცენტრალურ აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: „მოვისმინეთ რა სამხედრო და ზღვათა მინისტრის განმარტება და ჩვენი დელეგატების მოხსენებები ჰელსინგფორსში და ბალტიის ფლოტში მდგომარეობის შესახებ, რომელიც საფრთხეს უმზადებს ქვეყანას და რევოლიუციას, ვადგენთ გავგზავნოთ ჰელსინგფორსში 5 კაცისაგან შემდგარი დელეგაცია და დავავალოთ შემდეგი: 1) თანახმათ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის რეზოლიუციისა, რომელიც გმობს ყოველივე ძალმომრეობას ოფიცრებზე, რაიცა ჩირქს სცხებს რევოლიუციას, მოითხოვონ დაუყოვნებლივ ბოლო მოეღოს ასეთ მოვლენებს; 2) ხელი შეუწყონ მომხდარ მკვლელობების სასამართლოს გამოძიების საქმეს, დემოკრატიულ ორგანიზაციების მონაწილეობით; 3) ხელი შეუწყონ ბალტიის ფლოტის და მუშათა დეპუტატების ცენტრალურ კომიტეტის აღდგენას, აგრეთვე ჯარისკაცების და მეზღვაურების და 4) გამოკვლევა იმისი, თუ მართალია ის ხმები, რომ ბალტიის ფლოტში აგიტაციას ეწეოდენ პროვოკატორები და გერმანიის გენერალურ შტაბის აგენტები და აუხსნან ამხანაგ მეზღვაურებს, რა საფრთხეს უმზადებს სამშობლოს და რევოლიუციას ფლოტის გახრწნა“. დასასრულ კრებამ დაადგინა, რომ დელეგაციის შემადგენლობაში შევიდნენ გლეხთა დეპუტატების აღმასრულებელ კომიტეტის ორ-ორი წარმომადგენელი. კრებამ აირჩია ჰელსინგფორსში გასაგზავნი დელეგაცია და მიიღო შემდეგი რეზოლიუცია ფინლიანდიის საკითხის შესახებ: „ცენტრალური კომიტეტი სიამოვნებით ეგებება ფინლიანდიის ს.-დემოკრატიის დადგენილებას დეპუტატთა საბჭოს ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტთან ერთად შესდგეს საზოგადო კომისია, რომელიც გამონახავს გზას რუსეთსა და ფინლიანდიას შორის ჩამოვარდნილი უთანხმოების მოსასპობათ, კომიტეტი ადგენს აირჩიოს თავიანთ შორის სამი წარმომადგენელი: ლუნაჩარსკი, პოზერნი და ჩერნოვი.

ბერნის კონფერენცია.

სტოკჰოლმი. ბერნის კონფერენციის ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ მისი მოწვევა აუცილებელი შეიქნა. ცხრა კომისიის მიერ შემუშავებული თეზისები შემდეგია, ანექსიის უარყოფა, პლებისციტი, ნაციონალურ პრობლემების გადაჭრა, ეკონომიური თავისუფლება, ღია კარების პრინციპი, ჰააგის კონფერენციის იდეას განვითარება, საერთაშორისო საანკეტო და შემთანხმებელი საბჭოები, შეიარაღების საერთაშორისო ინსტანცია, ზღვების თავისუფლება, პარლამენტის კონტროლი საგარეო პოლიტიკაზე. აირჩიეს აღმასრულებელი კომიტეტი. საფრანგეთი, რუსეთი და საზოგადოთ სლოვენთა ქვეყნები კონფერენციაზე არ არიან წარმომადგენილნი. ცხრა კომისიის თავმჯდომარეებათ არიან ნეიტრალურ სახელმწიფოების წარმომადგენელნი. კომისიაში მებრძოლ სახელმწიფოთა წარმომადგენელნიც შედიან. მოწვეულია ამ კომისიების 100 წევრი, რომლებიც ჯერ ცალკე გამართავენ თათბირს. მოწვეულია აგრეთვე ნეიტრალურ და მებრძოლ სახელმწიფოებიდან 100 ექსპერტი.

ოსმალეთის პასუხი პაპის ნოტაზე.

სტოკჰოლმი. „ბერლინერ ტაგებლატ“-ს ცნობით ოსმალეთმა გადასცა თავის პასუხი პაპის ნოტაზე. ნოტაში წამოყენებულია ოსმალეთის ტერიტორიაზე ოსმალეთის სუვერენიტეტის დაცვა. ბულგარეთის ნოტაში ხაზს უსვამენ ნაციონალურ პრინციპს.

ს.-რევოლიუციონერთა მეშვიდე კონფერენცია

პეტროგრადი. 12 სექტემბერს გაიხსნა სოც.-რევოლიუციონერთა მეშვიდე კონფერენცია პეტროგრადში. კონფერენც. დაესწრო 45,300 წევრის მიერ წარმომადგენილი 157 დელეგატი. მიმდინარე მომენტის შესახებ მოხსენებას კითხულობს ჩერნოვი, რომელიც საჭიროთ სცნობს შესდგეს კოალიციური მთავრობა, მხოლოდ [illegible] მემარცხენე ორატორები [illegible], რომ მთელი [illegible] დეპუტატთა საბჭოებს. უკანასკნელ სიტყვაში ჩერნოვი ამბობს—„ნუ თუ თქვენა გგონიათ, ტკივილებს არ გამოიწვევს ის ოპერაცია, რომ რუსეთის რევოლიუციას ჩამოსჭრათ „რუსეთის რევოლიუციის ბებია“, კერენსკი და ავქსენტიევი. მე განზრახვა არა მაქვს რაიმის ფეროთი დაგანგრიოთ ის შენობა, რომელიც სალი კლდეზე ვაშენეთ. გაფიცებთ, ონახოთ გზა გათიშვის თავიდან ასაშორებლად“. კრების დასასრულ მიიღეს რეზოლიუცია, რომლითაც საჭიროდ სცნეს რომ სახელმწიფოებრივი მთავრობა უნდა აშენებულ იყოს დემოკრატიის ცენტრალურ ორგანოების წინაშე პასუხისგების პრინციპზე და უნდა შექმნან გაფართოებული დემოკრატიული თათბირი. რეზოლიუცია აღნიშნავს ზომებს, რომლებიც უნდა განხორციელებულ იქნას ახალ მთავრობისგან როგორც მაგალითად მთელი ძალების და ინვენტარის მიწების კომიტეტების ხელში გადასვლა, წარმოებაზე საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი კონტროლი, ჯარის ორგანიზაციების უფლებების გაფართოება, სახელმწიფო დუმის და საბჭოს და ოფიცერთა კავშირების დათხოვნა, სიკვდილით დასჯის გაუქმება, ტარნოპოლის და რიგის ფრონტების გარღვევის საქმის გამოსაძიებლად დემოკრატიულ კომისიების დანიშვნა. საგარეო პოლიტიკის შესახებ რეზოლიუცია საჭიროდ სცნობს გადაჭრილი ბრძოლა გასწიონ ომის წინააღმდეგ. ამისთვის ახალ კონკრეტიულ ზომად სცნობს დროებით ყველა ფრონტზე ბრძოლის შეჩერებას. დასასრულ ხელ-ახლა აირჩიეს პეტროგრადის კომიტეტი.

ომის დეპეშები.

პეტროგრადი. 12 სექტემბ. რიგის მიმართულებით, პსკოვის გზატკეცილის სამხრეთით, სოფ. რუკენთან გერმანელებმა კონტრ იერიში მოიტანეს, მაგრამ ჩვენ მათი იერიშები მოვიგერიეთ.

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე მოწინავე რაზმები იბრძვიან.

რუმინიის ფრონტზე, კიმპოლუნგას სამხრეთ-აღმოსავლეთით მტრის სანგრებში შევიჭრით და იქ მყოფი ჯარისკაცები გავწყვიტეთ.

კავკასიის ფრონტზე, ბითლისის მიმართულებით, სტრომას რაიონში ოსმალთა ტყვეები წამოვიყვანეთ.

პარიზი. 11 სექტემ. ბარესა და იურტემიზას რაიონებში საარტილერიო ბრძოლამ მკაცრი ხასიათი მიიღო. დანარჩენ ფრონტზე ჩვეულებრივი ბრძოლაა.

რომი. 11 სექტემ. ვაინიცას რაიონში საარტილერიო სროლაა. კალის რაიონში მტერმა უკან დაგვიხია. კარსოს ველზე ჩვეულებრივი ბრძოლაა.

დეპეშა

ხონი. ხონის ფილიალური განყოფილების მასწავლებლები პროტესტს აცხადებენ სახალხო მასწავლებელთა ყრილობის ერთი ნაწილის დადგენილების წინააღმდეგ, რომელსაც ადგილი ჰქონდა ქუთაისში 8 სექტემბერს. მოვითხოვთ ქუთაისის საგუბერნიო სამოსწავლო კომისარიატის სრულ რეორგანიზაციას. ვინაწილებთ რა ამიერ-კავკასიის ყრილობის დადგენილებებს, მხარს ვუჭერთ ხონის თვითმართველობის მიერ სახალხო განათლების საქმეში გადადგმულს ნაბიჯს.

თავმჯდომარე ქაცარავა.

ახალი ამბები

ღვინის გაყიდვის საკითხის შესახებ კავკასიის მ., ჯ.-კ. და გ. ცენტრმა შემდეგი რეზოლიუცია მიიღო: „კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრს თავის მოვალეობათ მიაჩნია დაეხმაროს წვრილ მესაკუთრე გლეხებს, რომლებიც ამზადებენ ღვინოს, მაგრამ ბაზრის უქონლობის გამო მოკლებულ არიან არსებობისათვის საჭირო ყოველგვარ საშუალებას. ამიტომ ცენტრმა დაადგინა: დაუყონებლივ შეუდგეს ღვინის შემსყიდველ კოოპერატივების დაარსებას და წვრილ მეღვინე გლეხთა შეკავშირებას, გამოანგარიშებულ იქნას ღვინის რაოდენობა და მეღვინეთა საჭიროებანი, დაუყოვნებლივ შეუდგენ ძმარის დასამზადებელ ქარხნების მოწყობას, სავადმყოფოებისათვის და საზოგადო დაწესებულებათათვის ღვინის დამზადება გადაეცეს კოოპერატივებს, აძლიან შუამდგომლობა სასურსათო საქმის სამინისტროს წინაშე, რომ ქალაქთა და საერობო კავშირების სავადმყოფოთათვის ღვინის დამზადება გადაეცეს კოოპერატივებს; გამოიმუშაონ ღვინის ბარათებით გაყიდვის წესი; ამ დადგენილებათა დაწვრილებით დამუშავება და მათი ცხოვრებაში გატარება მიენდოს საგუბერნიო სასურსათო კომიტეტებს.

◆ **ჩამორთმეული სანოვაგე.** მილიციის უფროსი წინადადებას აძლევს უბნის კომისარებს სისწორით აწარმოონ კერძო პირებზე ჩამორთმეული სანოვაგის ანგარიში.

◆ **ყველი.** როგორც ამას წინათ ვწერდით, საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა თავის რწმუნებული ბარათაშვილი გაგზავნა ბორჩალოს მაზრაში ყველის შესასყიდლათ.

უკანასკნელი ფოსტა.

ბლესის დროებით რევოლიუციონურმა კომიტეტმა, მიუხედავათ კერენსკის კატეგორიული ბრძანებისა, საჭიროთ არ სცნო დაშლა. კომიტეტი აცხადებს, რომ ის კანტროლს გაუწევს მთავრობის ადგილობრივ ორგანოებს და ბრძოლას აწარმოებს კონტრ რევოლიუციონერთა წინააღმდეგ.

— კორნილოვის აჯანყების ჩაქრობის შემდეგ ქიევის ბირჟაზე მანეთის კურსმა თვალსაჩინოთ აიწია.

— კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ მებრძოლმა კომიტეტმა მიმართა პეტროგრადის ასოთ-ამწყობებს, რომ მათ არ აეწყოთ კონტრ-რევოლიუციონური დახურული „ჟივოე სლოვოს“ ნაცვლათ გამოსული „ნოვოე სლოვო“. ასოთ-ამწყობებმა გაზეთის აწყობა შეაჩერეს. გაზეთის დასახურავათ მთავრობის მიერ ზომების მიღება საჭირო აღარ დარჩა.

— აზრათ აქვთ შრომის სამინისტრო კოსტრომში გადაიტანონ, ვინაიდან ეს რაიონი დიდი სამრეწველო ცენტრია.

— კორნილოვის შიკრიკს ზავოიკოს განუცხადებია, რომ კორნილოვს რჩევას აძლევდა პირველი სახელმწიფო დუმის ყოფილი დეპუტატი ალადინი. ლონდონში მცხოვრები რუსები აცხადებენ, რომ ალადინი ყოველთვის ეჭვს იწვევდა მათში, ვინაიდან სახელით ის სოციალისტობდა, საქმით კი „ნოვოე ვრემიას“ კორესპონდენტი იყო და პატრიოტულ ლიგის საქმეებში მხურვალე მონაწილეობას იღებდა.

ზარათაშვილი უკვე დაბრუნდა თფილისში, მაგრამ ყველი არ ჩამოუტანია, ვინაიდან ბორჩალოს მაზრაში შვეიცარული ყველი 100 მან. ფასობს ფუთი, ხოლო ადგილობრივი ყველი სრულებით არ იშოვება.

◆ **პურის კრიზისი ნუხაში.** როგორც თფილისში დეპეშით იტყობინებიან, ნუხაში პურის დიდი ნაკლებობა ყოფილა. გირვანქა პური 45 კ. იყიდება.

◆ **ტყავეულობის ქარხნებში.** 11 სექტემბერს, საგუბერნიო კომიტეტის წევრმა ამხ. თ. კიკვაძემ სპეციალისტ მაკაროვიჩისთან ერთად დაათვალიერა ტყავეულობის ქარხნები. გამოირკვა, რომ ქარხნები ამზადებენ საწოლე მასალას, რომელიც მიდის ქუთაისის გუბერნიაში.

◆ **შეშის საწყობები.** ამიერ კავკასიის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირს განზრახული აქვს მოაწყოს შეშის საწყობები რკინის გზის სადგურის ახლო, ნავთლუღში და მადათოვის კუნძულზე.

◆ **შეშა.** საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა ამიერ კავკასიის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირს მიანდო ზამთრისათვის შეშის დამზადება მარელისში, მოლითაში, წიფაში, თელავში და წნორში. კავშირმა 10 ვაგონი შეშა უკვე მიიღო თელავიდან. მარელისში 800 მდე საჟენი შეშა ყოფილა დამზადებული და საგუბერნიო სასურსათო კომიტეტს უკვე აღუძრავს შუამდგომლობა ქუთაისის საგუბ. სას. კომიტეტის წინაშე, რათა ნებადართულ იქნას ამ შეშის თფილისში შემოტანა.

◆ **ახალი კომისარი.** ბორჯომის კომისრათ დაინიშნა ამხ. აკაკი მინას ძე ტყემალაძე.

◆ **სურსათი.** 11, 12 და 13 სექტემბერს თფილისში შემოიტანეს 15 ვაგონი ფქვილი, 3 ვაგონი შაქარი და 3 ვაგ. ქერი.

◆ **დამალულ სპირტის აღმოჩენა.** ვ. კაპანაძის ბინაზე (ელისაბედის ქ. № 30) აღმოჩინეს 30 ვედრა სპირტი.

◆ **სალიტერატურო-მუსიკალური საღამო** გაიმართება დღეს მე-3 სავაჟო გიმნაზიის შენობაში. წმინდა შემოსავალი გადაიდება გოლოვინის რაიონში სახალხო სახლის მოსაწყობათ. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

კრებები და მიტინგები.

დღეს, მეექვსე სავაჟო გიმნაზიის შენობაში (ფრეილინაია № 3). შესდგება ამიერ კავკასიის მარქსისტ მოწაფეთა კავშირი თფილისის კოლექტივის წევრთა კრება. კრება გაიხსნება საღ. 7 საათზე. უმორჩილესად ვთხოვთ ამხანაგებს აუცილებლად დაესწრონ.

— დღეს საღამოს 7 საათზე დანიშნულია მე—3 რაიონულ კოლექტივის წევრთა სხდომა.

— დღეს, საღამოს 7 ს. დანიშნულია შეერთებული კრება პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს სეკრეტარიატის და საოლქო კონფერენციის მომწვევ საორგანიზაციო კომისიის წევრების.

პროვინციის ქრონიკა.

სურამის აღმასრულებელი კომიტეტის ახალი არჩევნები დანიშნული იყო 10 სექტემბერს. სურამის სოციალდემოკრატიულმა ორგანიზაციამ დაადგინა ოცდა ორი ადგილი დაენიშნოს: 3 ადგილი სოც.-ფედერალისტებს, 1 სოც.-რევოლიუციონერებს, 3 დაშნაკელებს, 3 ებრაელებს და 4 გლეხობას. სოც.-ფედერალისტთა და სოც.-რევოლიუციონერთა ბლოკმა უარყო ოთხი ადგილი და მოითხოვა შვიდი. დაშნაკელები და ებრაელები დათანხმდნენ ჩვენს წინადადებაზე. 7 ადგილის მიცემაზე ჩვენმა ორგანიზაციამ უარი განაცხადა. ამიტომ მათ არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადეს. მონაწილეობა უნდა მიეღოთ არჩევნებში 1800 ამომრჩეველს. ხმა მისცა ექვსას ოცდა სამმა კაცმა. ამორჩეულ იქნენ: სოც.-დემოკრატები 15, ებრაელი 3, (მათში ორი ს. დ. პარტიის წევრია), 3 დაშნაკცაკანი და ორი გლეხი, თანამგრძნობნი სოც.-დემ. პარტიისა და ამდენივე კანდიდატები.

სოფ. აბაშა (სამეგრელო). 3 სექტემბერს შესდგა საზოგადო კრება, სადაც ამხ. მ. კაპარავამ და ა. ფანცულაიამ ვრცლათ გააცნეს კრებას დღევანდელი მომენტი, გენერალ კორნილოვის კონტრ რევოლიუციონური გამოსვლა, მასთან ვრცლათ იყო ახსნილი მიზეზები კონტრ-რევოლიუციისა, რის შემდეგ კრებამ ერთხმათ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: შეუერთდეს რუსეთის რევოლიუციის დამცველთ, რევოლიუციონურ ორგანოებს, ნახარი დაუშურონ დროებით მთავრობას და უკანასკნელი სისხლის წვეთამდის დაიცვან რევოლიუცია.

ს. დიდი ჯიხაიში. 3 სექტემბერს აქ მოხდა რევოლიუციის დაცვის კომიტეტის კრება. კრებამ იქონია მსჯელობა კორნილოვის გამოსვლის გამო. 16 აგვისტოს აქ მომხდარ მხეცურ მკვლელობის შესახებ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: სრული ნდობა რევოლიუციონურ მთავრობას, და სასტიკი ბრძოლა კონტრ რევოლიუციონერების წინააღმდეგ.

სოფ. უზარილი. აქ ყველაფრის სიძვირეა. პური (ხორბალი) ფასობს კოდი 35, 40, 45 მანეთი. მუშა ხელი ფასობს 8, 10 და 12 მ. ამნაირი სიძვირის გამო, ჯარისკაცების ოჯახები გაჭირვებულ მდგომარეობაში ცვივდებიან. აქაური კომიტეტი ამაზე არ ფიქრობს.

აქეთი. 3 სექტემბერს შესდგა აქეთის საზოგადოების მცხოვრებთა კრება. კრებამ ერთხმად გადასწყვიტა: გაიხსნას ამ საზოგადოებაში უმაღლესი პირველ დაწყებითი სასწავლებელი. ყოველივე ხარჯები, სასწავლებლის შესანახავად საჭირო, დაიკისროს საზოგადოებამ, სანამ სასწავლებელი მთავრობის ხელში გადავიდოდეს. დროებით სწავლა უნდა დაიწყოს აქეთის ორკლასიან სასწავლებელში. შენობის ასაგებ ადგილის გამოსანახავად არჩეულია კომისია.

ხვარბეთი (გურია). 29 აგვისტოს მოხდა ხვარბეთის საზოგადოების კრება, რომელმაც დაადგინა, რათა თვით ხვარბეთში გაიხსნას პირველ დაწყებითი უმაღლესი სასწავლებელი საზოგადოების ხარჯით.

— კონჭკათში, მერიაში და შიანეთურში გადაწყდა დაარსონ ერთკლასიანი სასწავლებელი. დასასრულ, კრებამ საგანგებოთ ერთი კაცი აირჩია, რომელმაც სოფლისათვის სათესლე პური უნდა იყიდოს.

ფოთის ქალაქის საბჭო.

5 სექტემბერს შესდგა ახალი საბჭოს პირველი სხდომა, რომელიც გახსნა ძველი ქალაქის თავის მოადგილემ ს. ხოშტარიამ და ძველი საბჭოს შემადგენლობის სახელით მიესალმა.

საბჭოს თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. გ. ჩიტაია. თავმჯდომარეს დაენიშნა 4 ათასი მანეთი წლიურათ. ქალაქის თავათ აირჩიეს ამხ. დავ. ონიაშვილი, გამგეობის წევრებათ: ამხ. აქვს. ჩხაიძე და გ. ხოფერია. ქალაქის თავს წლიურათ 5 ათასი მანეთი დაენიშნა ბინით და განათებით, გამგეობის წევრთ—4 ათასი მანეთი თითოეულს. ქალაქის თავის ამხანაგათ არჩეულ იქნა გამგეობისავე წევრი ა. ჩხაიძე. როცა ქალაქის თავი დ. ონიაშვილი დარბაზში შემოვიდა, საზოგადოება მას მქუხარე ტაშით შეეგება. მან შინაარსიანი და ვრცელი სიტყვით მიმართა ხმოსნებს და დამსწრე საზოგადოებას, რომელშიაც ნდობისათვის მადლობის გამოცხადების შემდეგ აღნიშნა დემოკრატიული თვითმართველობის მნიშვნელობა რევოლიუციისათვის და გამოსთქვა იმედი, რომ ქალაქის თავი საბჭოს მთელი შემადგენლობის შემწეობით შესძლებს თვითმართველობის დანიშნულების ბრწყინვალეთ შესრულებას.

საქალაქო არჩევნები სამტრედიაში.

ქალაქის თვითმართველობა სამტრედიაში დღეს ეწყობა. დღეს ეყრება საძირკველი იმ დიდ ორგანოს, რომელმაც უნდა მცხოვრებთა კულტურულ მოთხოვნებს მიაპყრას ყურადღება—დღემდე აქ მივიწყებული იყო ყველაფერი: განათება, ქუჩების გაწმენდა, სწავლა-განათლებაზე ზრუნვა და სხვა აუცილებელი საჭიროებანი, დემოკრატიას არ უშვებდენ საქმეზე. აქაური მდიდრები კი ქალაქის სათამაშო კლუბებს აწყობდენ, დღეს ხალხს მიეცა უფლება თავისი საქმის მოგვარებისა, მაგრამ კითხვა იმაშია, თუ როგორ შესძლებს ის ამას. ვის ჩააბარებს თავისი ინტერესების დაცვას, ვის მიანდობს ნორჩ-ქალაქის ბედ-იღბალს—მათ, ვინც დემოკრატიის ინტერესებს მუდამ ებრძოდა ფეხ-ქვეშ თელავდა, თუ მათ, ვინც მშრომელი ხალხის ინტერესებს მედგრად იცავდა და მას მხურვალედ ეწირებოდა.

მოქალაქენო! მუშათა კლასის თავგანწირულმა ბრძოლამ მოგანიჭა თქვენ ეს თავისუფლება. სოც. დემოკრატიის დაუღალავს და გმირულ ბრძოლას მიუყვანხართ თქვენ გამარჯვებისაკენ. მოიგონეთ წარსული, თუ ვინ იცავდა თქვენს ინტერესებს, გაიხსენეთ შავბნელი რეაქციის ხანა, თუ ვინ მიდიოდა ხალხის ინტერესებისათვის კატორღაში და სახრჩობელაზე, ვინ დაგტრიალებდათ თავს ყოველგვარ გასაჭირის დროს? ეს იყო მშრომელი ხალხის ინტერესების დამცველი სოც.-დემოკრატია. მას მტკიცეთ ეპყრა ბრძოლის დროშა რეაქციის დროსაც, და ის გმირულად აფრიალებს მას დღეს ბრძოლისაკენ. დანარჩენები კი, საკუთარ საქმეებს აწყობდენ მაშინ, როცა ხალხი განუსაზღვრელ ტანჯვას განიცდიდა. მოიგონეთ წარსული და თქვენ ნათლად დარწმუნდებით ამაში.

მოქალაქენო! 17 სექტემბერს დანიშნულია სამტრედიის ქალაქის არჩევნები დილის 9 საათიდან საღამოს 9 საათამდე.

ქალაქი ერთ საარჩევნო ოლქად არის აღიარებული. ხოლო, რომ არჩევნებში ყველამ მიიღოს მონაწილეობა—5 სხვადასხვა ადგილას იდგმება ყუთები. და ყველას საშუალება ეძლევა სადაც ეხერხება, იქ მისცეს ხმა. 17 სექტემბერს სამტრედიის დემოკრატიამ უნდა სთქვას, თუ ვის სცნობს ის თავის ინტერესების დამცველათ. ამ დღეს მოქალაქეთა წინაშე წარსდგებიან, მუხლს მოიყრიან და შეჰფიცავენ ერთგულებაში: სოც. ფედერალისტები, სოც. რევოლიუციონერები, ნაც. დემოკრატები და ყველა ისინი, ვინც დღემდე განზე უდგა მშრომელ ხალხს. დიახ, ისინი მიგელენ ლამაზი და მოქარგული სიტყვებით დაუწყებენ საუბარს ამრჩევლებს, მაგრამ, მოქალაქენო, ზურგი აქციეთ მათ,—ხმა მიეცით სოც. დემოკრატიის სიას № 1, მშრომელი ხალხის ინტერესების დაცვა მხოლოდ მას შეუძლია, ვინც დღემდე მედგრათ იცავდა. ხალხმა სოც. დემოკრატიას გამოუცხადა ნდობა ყოველგან,—ქუთაისში, თფილისში, გორში, ფოთში, ბათუმში, ხონში და სხ. ადგილებში.

მშრომელმა ხალხმა მათი ინტერესების დაცვა ქალაქის საქმეებში სოც. დემოკრატიას ჩააბარა.

მოქალაქენო! გახსოვდეთ № 1 სოც. დემ. პარტიის კანდიდატების სია. არც ერთი ხმა სხვა პარტიებს.

ხმა მიეცით № 1.

შრომის მინისტრისაგან.

დროებითი მთავრობის „უწყებებში“ 22 აგვისტოს თარიღით № 136 გამოქვეყნებულია შრომის მინისტრის შემდეგი განცხადება:

შრომის მინისტრი საყოველთაოთ აცხადებს შემდეგს:

1) თანახმად 1917 წ. 23 აპრილის კანონისა მუშათა კომიტეტების შესახებ, წარმოების პატრონებს უფლება არა აქვთ დაითხოვონ ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების წევრები, რომლებიც ამ კანონების ძალით არიან არჩეულები. მათი დათხოვნა შეიძლება მხოლოდ მომრიგებელ კამერის ან სამედიატორო სასამართლოს დადგენილებით.

2) დანარჩენ მოსამსახურეთა და მუშების მიღება და დათხოვნის უფლება აქვს წარმოების პატრონებს, თუ ორივე მხარეს განსაკუთრებული პირობა და წესები არა აქვთ მიღებული ამ საკითხის შესახებ (შერეული კომისია ან პროფესიონალური კავშირები, მომრიგებელი კამერა და სამედიატორო სასამართლო და სხვა).

3) უკეთუ მოსამსახურეები კითხვას აღძრავენ ამა თუ იმ პირების დათხოვნის შესახებ, რომლებიც მათი აზრით ხელს უშლიან და აფერხებენ წარმოებას ან სრულიად მის შეჩერებას ცდილობენ და უკეთუ მწარმოებელი არ დაეთანხმება მათ დათხოვნაზე, ამ საკითხის გადაწყვეტა შეუძლია ქარხნის თათბირს.

4) მუშების მიღების და დათხოვნის წესების დარღვევისთვის დამნაშავენი საზოგადო წესით დაისჯებიან.

5) მუშების მხრით ძალმომრეობა, ამა თუ იმ პირის დათხოვნის ან მიღების შესახებ გამოწვეული, ჩაითვლება როგორც სისხლის სამართლის დანაშაული.

ჩვენი მკითხველებისადმი.

ზოგიერთი ჩვენი აგენტების დაუდევრობით, ხშირათ იძულებული ხდება კანტორა უგაზეთოთ დასტოვოს მთელი ქალაქი ან სოფელი მიუხედავათ იმისა, რომ შეიძლება მკითხველებს ფული მთელი თვის წინდაწინ გადახდილი აქვთ აგენტთან.

რომ უდანაშაულო მკითხველები არ დაისაჯონ, საჭიროა მათ თვითონ მიაქციონ ყურადღება აგენტებს და გაიგონ, აქვთ თუ არა მათ ფული გადახდილი გაზეთების საფასურათ. ეს ყოველდღე შეუძლიათ გაიგონ მკითხველებმა, ვინაიდან კანტორა გაზეთებთან ერთად ყოველ დღე უგზავნის აგენტებს ანგარიშის ფურცელს სადაც ნაჩვენებია, როგორც აგენტის ავანსი (წინდაწინ გადახდილი ფასი), აგრეთვე მისი ვალი.

ვთხოვთ ამხ. მკითხველებს მიაქციონ ყურადღება ამ მოვლენას: ნუ დაისჯებიან თვითონ და ნურც ჩვენ ჩაგვაგდებენ უხერხულ მდგომარეობაში. მაგალითად, დღეიდან შეწყდა სოხუმში გაზეთების გზავნა. მთელს სოხუმში დღეიდან არც ერთი ცალი გაზეთი არ მივა, სანამ ანგარიშებს არ გაასწორებს ამხ. იქაური აგენტი. ასეთ მდგომარეობაში ჩავარდებიან სხვა ადგილებიც, უკეთუ დროზე არ იქნა შესაფერი ზომები მიღებული.

კანტორა „განათლება“.

„ერთობის“ რედაქცია დაბეჯითებით სთხოვს ადგილობრივ ორგანიზაციებს, ყურადღება მიაქციონ გაზეთის გავრცელების საქმეს და რაც უმთავრესია, კანტროლი გაუწიონ აგენტებს ანგარიშების გასწორების საქმეში. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი გაზეთი და მასთან რედაქცია ზარალობს როგორც იდეურათ, აგრეთვე მატერიალურათაც.

დასავლეთ საქართველოს სახალხო მასწავლებელთა საყურადღებოთ.

სამ ენკენისთვეს უნდა მომხდარიყო დასავლეთ საქართველოს სახალხო მასწავლებელთა დელეგატების ყრილობა. დანიშნულ დღეს კიდეც შეიკრიბა 104-მდე დელეგატი. კრებამ აირჩია სამანდატო კომისია. რომელმაც დაამტკიცა 73 მანდატი, ხოლო 31 უარყო, რადგან მათი შედგენის დროს დაცული არ ყოფილა საორგანიზაციო ბიუროს მიერ შემუშავებული საარჩევნო წესი. უარყოფილი მანდატები, გარდა ორისა, იყო ოზურგეთის მაზრიდან და სოხუმიდან. ამნაირათ, ეს მხარეები რჩებოდენ სრულიად უწარმომადგენლოთ. ამ კითხვის გამო კრებაზე გაიმართა დიდი კამათი. რამაც მთელი კრება გაჰყო ორ შეურიგებელ ნაწილათ. ფედერალისტები და ესერები პირველ გამოსვლისთანავე შეერთდენ ს. დ. მასწავლებლების წინააღმდეგ, სავსებით დაადგენ ფორმალურ თვალსაზრისს და ბოლომდის იცავდენ იმ აზრს, რომ დასახელებული მანდატები უარყოფილ უნდა იქნას, ვინაიდან წინასწარ გამომუშავებული არჩევნების წესი დარღვეულია. სოციალ-დემოკრატები კი ადგენ სრულიად სხვა შეხედულებას: მათის აზრით უმთავრესი ყურადღება უნდა მიქცეული ყოფილიყო მთავარ მიზნისკენ, რომელიც მდგომარეობს მოზრდილ თაობის სწავლა აღზრდის ახალ პირობებისამებრ მოწესრიგებაში და მასწავლებელთა პროფესიონალურ ინტერესების დაცვაში. თუ კრება ფორმალურ ნიადაგზე დადგებოდა, მაშინ მასწავლებელთა საგრძნობი ნაწილი საერთო მუშაობაში მონაწილეობას ვერ მიიღებდა, რის გამო კრების გადაწყვეტილებებს შესაფერი ავტორიტეტი და მნიშვნელობა არ ექნებოდა. ამიტომ სოციალდემოკრატები მოითხოვდენ ყველა მანდატების დამტკიცებას, მით უმეტეს, რომ ამავე წესით აირჩიეს დელეგატები კავკასიის საოლქო სამასწავლებლო ყრილობაზე. ამას უმატებდენ იმ მოსაზრებასაც, რომ ბევრი, უკვე დამტკიცებული მანდატიც ფორმალურის მხრივ ვერ იყო სრულიად დამაკმაყოფილებელი. სოციალდემოკრატების მხრივ ყოველივე ზომა იყო მიღებული, რომ მოწინააღმდეგენი გადმოეყვანათ ფორმალური აზროვნების გზიდან, რათა გაჩაღებულიყო საერთო დიდებითი მუშაობა, მაგრამ ამაოთ. ბოლოს კრება გაიყო ორ, თითქმის თანასწორ ნაწილათ. ასეთ პირობებში მუშაობა ს. დემოკრატებმა ყოველივე მნიშვნელობას მოკლებულათ ჩათვალეს და გადასწყვიტეს დაშლილიყვენ, რის გამო საგუბერნიო ყრილობა დაშლილათ ითვლება, თუ რომელიმე გათიშულმა ფრაქციამ განაგრძო მუშაობა, ამას ექნება არა საერთო სრულ-უფლებიანი ყრილობის სახე, არამედ ხასიათი კერძო ჯგუფური. ს. დ. ფრაქცია ჯერ-ჯერობით სახელმძღვანელოთ ცნობილობს კავკასიის საოლქო მას თა ყრილობის დადგენილებებს და საოლქო კომისარიატის დადგენილებას ინსპექტორების არჩევის შესახებ.

ხელს აწერს: მასწავლებელთა **სოც. დემ.** ფრაქცია.

გამაერთიანებელი ყრილობა რუს. ს.-დ. მუშ. პარტიისა.

(რეზოლიუციები).

პოლიტიკური მომენტი და პარტიის მიზნები.

1. მსოფლიო ომის ქარ-ცეცხლში გახვეულ თანამედროვე რევოლიუციის მომენტს ახასიათებს შინაური და გარეშე კრიზისის გამწვავება, რომელიც მთელი ქვეყნის არსებობას და რევოლიუციას დასამარებას უქადის. სამხედრო დამარცხება, მთელი სამეურნეო ცხოვრების არევ-დარევა, ცხოვრების აუტანელ პირობებს ქმნის, მთავრობის კრიზისს ქრონიულ ხასიათს აძლევს და კონტრ-რევოლიუციას ნიადაგს უმზადებს.

2. რევოლიუციამ ძველ თვითმპყრობელ მთავრობისაგან მიიღო მისგან გაპარტახებული ქვეყანა, აწეწილ-დაწეწილი საქმეები და საშინელ ომის გამო მან დღემდე ვერ შესძლო ფეხზე დაეყენებინა ქვეყანა და ხალხისთვის მიეცა ის, რაც მისი არსებობისთვის მიუცილებელი საჭიროა. სამეურნეო კრიზისს ასეთ დროს კიდევ უფრო ამწვავებს ის გარემოება, რომ კაპიტალისტები წინაღუდგენ ფინანსიურ და ეკონომიურ რეფორმებს, რომლების ცხოვრებაში გატარება მოინდომა დემოკრატიამ, რაც დრო გადის, არსებულ მდგომარეობის გამო ხალხის ფართო მასაში თანდათან ფეხს იკიდებს უკმაყოფილება, ცალკე ჯგუფები იწყებენ განკერძოებით მოქმედებას თავის ვიწრო ინტერესების გულისთვის და ეს ზიდებს მშრომელ დემოკრატიის დაყოფა-დაქუცმაცებას. ეს დაყოფა და განცალკევება, რომლითაც სიხარულით სარგებლობენ კონტრ რევოლიუციონერები, კიდევ უფრო მწვავე ხასიათს ღებულობს და ღრმავდება მით, რომ დემოკრატიის სხვადასხვა ნაწილში ფეხს იკიდებს ანარქისტულ-ბუნტარული ბრძოლის მეთოდი. ყველა ეს ისეთ პირობებს ჰქმნის, რომელიც გამოიწვევს დემოკრატიის ძალთა დაქსაქსვას და მის სრულ განცალკევებას.

3) ამასთან შეძლებულ კლასთა დიდი ნაწილი ამ ბოლო დროს და უმეტესათ 3—5 ივლისის ამბების შემდეგ, დაჟინებით ცდილობენ წესიერების დამყარებას და უკან მისდევენ გავლენიან ბურჟუაზიულ წრეებს, რომლებიც უპასუხისმგებლო პოლიტიკას აწარმოებენ და რევოლიუციონურ დემოკრატიას და ხალხის მიერ მოპოვებულ უფლებებს სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ. ეს წრეები, კონტრ-რევოლიუციონერებთან ერთად ცდილობენ სამხედრო დამარცხება და შინაური არევ-დარევა თავიანთ ქვენა აზრების განსახორციელებლათ გამოიყენონ, რომ შექმნან [illegible]-დემოკრატიული მთავრობა, დაამხონ დემოკრატიული ორგანიზაციები, [illegible] ზურგს უკან და ხალხის მასა და პროლეტარიატი და ჯარი მორჩილ, ყურმოჭრილ მონათ გადააქციონ. ბურჟუაზიის ამ უპასუხისმგებლო წრეთა გავლენის მოსპობა, რომელიც თავის ინტერესების გულისთვის ცდილობს ქვეყნის დაღუპვას და მის საწარმოო ძალთა განადგურებას, შეიძლება მხოლოდ დემოკრატიის საერთო გადაჭრილი ბრძოლით და მისი შემოქმედებითი მუშაობით—მთელი რევოლიუციონურ რუსეთის გამაგრების საქმეში.

4. დემოკრატიის ძალთა დაქსაქსვას და გავლენიან წრეთა უპასუხისმგებლო პოლიტიკას, საერთო მდგომარეობასთან ერთად, გავლენა ჰქონდა დროებით მთავრობაზე, საგრძნობლათ აუძლურებდა უკანასკნელ დრომდე მას და ხელს უშლიდა მის მუშაობას ცხოვრებაში, გაეტარებინა დემოკრატიული პროგრამა. ამას ზედ დაერთო ის შეცდომები, რომლებიც დროებითმა მთავრობამ დაუშვა, რითაც შინაურ და საგარეო პოლიტიკის საქმეში რევოლიუციონურ-დემოკრატიულ გზას გადაუხვია, ენერგია ვერ გამოიჩინა კონტრ-რევოლიუციასთან ბრძოლაში და იმავე უპასუხისმგებლო ბურჟუაზიის ზეგავლენით რეპრესიებს მიმართა დემოკრატიის ერთ მიმდინარეობის წინააღმდეგ და ვერ იყო მტკიცეთ დაყრდნობილი ორგანიზაციულათ მოწყობილ დემოკრატიაზე.

5. ვაღიარებთ რა, რომ პროლეტარიატის განცალკევების პოლიტიკა საშიში და დამღუპველია, რაიცა ქვეყანას და რევოლიუციას დაღუპვის კარამდე მიიყვანს, ს.-დ. პარტია უნდა ცდილობდეს შემოიკრიბოს თავის გარშემო მუშათა კლასის ყველა ძალები, ებრძოლოს თავის საკუთარ წრეში მყოფ გამხრწნელ ელემენტებს, გაამაგროს მისი კლასობრივი ორგანიზაციები, აწარმოვოს რა საკუთარი კლასობრივი პოლიტიკა, ამავე დროს თავის გარშემო უნდა შემოკრიბოს ქვეყნის ყველა დემოკრატიული ძალები, რომ მედგრათ შეუტიოს კონტრ-რევოლიუციას, ენერგიულათ დაიცვას ქვეყანა გარეშე საფრთხისაგან, გააძლიეროს ბრძოლა საყოველთაო ზავისთვის, გავლენა იქონიოს მთავრობაზე აწარმოოს, როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკა დემოკრატიულ პრინციპებზე დამყარებული, რაიცა გამოიხატა 8 ივლისის დეკლარაციაში და მიიყვანოს ქვეყანა დამფუძნებელ კრებამდე, რომ საბოლოოთ დამყარდეს ხალხის მართვა გამგეობა.

6, მოსკოვის თათბირის დღიდან, სადაც საზოგადო სახალხო პლატფორმაზე შეერთდენ რევოლიუციონური ორგანიზაციები, ადგილობრივ თვითმართველობათა დემოკრატიული ორგანოები, პროფესიონალური კავშირები, კოოპერატივები და დემოკრატიული ნაციონალური ჯგუფები, შეიქმნება უფრო მტკიცე და ფართო საფუძველი დემოკრატიულ პოლიტიკის გასატარებლათ.

7. რევოლიუციონურ დროებით მთავრობას მხოლოდ მაშინ შეუძლია რუსეთის გამაგრება, მისი დაცვა განადგურებისგან, საერთაშორისო დემოკრატიულ ზავის მოპოვება, ყველა ბურჟუაზიულ ელემენტების ამ საქმეში ჩაბმა, რომლებიც ერთად ერთ გადაჭრილ დემოკრატიულ პოლიტიკის გზას დაადგებიან, და უზრუნველ ჰყოფს თავის თავს მხარი დაუჭიროს მას პროლეტარიატმა, როცა ის საგარეო პოლიტიკაში არ გადაუხვევს იმ პრინც., რომლებიც წამოაყენა რუსეთის რევოლიუციამ და მთელ თავის ძალღონეს იხმარს ამ პრინციპების ცხოვრებაში გასატარებლათ; როცა ის ფართო რეფორმებს მოახდენს შრომის დაცვის საქმეში, მოაწესრიგებს წარმოებას, ტრანსპორტს და განაწილების საქმეს და აგრეთვე ფინანსიურ რეფორმებს; როცა ის მიწების საკითხს მშრომელ მასის სასარგებლოთ გადასწყვეტს და ეცდება ქვეყნის სურსათით უზრუნველყოფას; როცა ის სასტიკ ბრძოლას გაუწევს კონტრ-რევოლიუციას, დაეყრდნობა შეკავშირებულ დემოკრატიას, ყველა საპასუხისმგებლო ადგილებზე რევოლიუციის ერთგულ პირებს დანიშნავს და ყოველივე მიზეზს გარეშე ეცდება დანიშნულ დროზე მოიწვიოს დამფუძნებელი კრება.

8. მხოლოდ ზემო აღნიშნულ პირობებში შეუძლია ს.-დემოკრატიულ პარტიას მონაწილეობა მიიღოს კოალიციურ მთავრობაში, რომ უფრო ენერგიულად გაატაროს რევოლიუციონურ-დემოკრატიული პოლიტიკა.

რკინის გზაზე.

ძველი წყობილების დამხობასთან ერთად რკინის გზაზედაც ახალი წესები დამყარდა, მაგრამ, სამწუხაროთ, ამ ახალ წესებს მატარებლის ბევრი მოსამსახურე ემსახურება ძველზე უარესათ. ამის მაგალითები ბევრია. სამგზავრო მატარებლების კონდუქტორები თავიანთ მოვალეობას არ ასრულებენ პირნათლათ, უმრავლესობა მაინც, და ეს აიხსნება, რა თქმა უნდა, მათი შეუგნებლობით, მაგრამ არც იმდენათ შეუგნებლები არიან, რომ დღევანდელი ვითარება მათ არ ესმოდეთ.

24 აგვისტოს მიდიოდა ბათუმიდან სამგზავრო მატარებელი № 10. გზაში მგზავრებს უკვირდათ და უკმაყოფილებასაც აცხადებდენ, რომ ვაგონებს და მატარებელს პატრონი არ ჰყავდა, ერთმა მგზავრმა, ბათუმის მუშათა დეპუტატების საბჭოს წევრმა, მაკარენკომ, რამო-

დენიმეჯერ განუცხადა იქვე მძინარე კონდუქტორებს, რომ მგზავრები ბევრი უბილეთოები არიანო, მაგრამ მათ ყურადღება არ მიაქციეს. ასევე არ მიაქციეს ყურადღება ვაგონის სიბინძურეს, რითაც ისარგებლეს ჯიბგირებმა და რამდენიმე მგზავრი გაძარცვეს. არ შეიძლება არ აღინიშნოს ის მოვლენა, რომ მატარებლების „კანტროლიორები" ბათუმიდანვე იძლევიან დეპეშას, რომ ადგილი არ არის, ბილეთი არ მიჰყიდოთო, მატარებელი კი შედარებით ცარიელი არის.

საჭიროა სასტიკი ზომების მიღება ისეთ მოსამსახურეთა წინააღმდეგ, რომლებიც ერთგულად არ ემსახურებიან, რითაც ხალხს დიდი ზარალი აქვს.

საჭიროა თვით კონდუქტორებმა მიაქციონ ყურადღება ამ ბოროტებას და ვინც მოვალეობას პირნათლად არ ასრულებს უნდა გაძევებულ იქნას სამსახურიდან. **რიგა.**

გაფიცვა კოოპერატივში.

სახელმწიფო დაწესებულებებში მოსამსახურეთა კოოპერატივში გაფიცვის გამო კოოპერატივი დაკეტილია, მაგრამ მხოლოდ გარედან შიგნით კი, კოოპერატივში დღესაც სწარმოებს ვაჭრობა და უფრო მოგებული, ვინემ ჩვეულებრივ დროს იყო. ამ გარემოებით კოოპერატივის ადმინისტრაცია სრულებითაც არაა შეწუხებული. ეს არაც არის გასაკვირალი. ადმინისტრაცია კოოპერატივს დიდი ხანია უყურებს, როგორც საკუთარ დუქანს და თავსაც არ იწუხებს იმის გამო, რომ ამით მომხმარებელთა ინტერესები ილახება. საინტერესოა ვიცოდეთ გაფიცულ ამხანაგებისაგან, ვინ არის ამაში დამნაშავე: კოოპერატივის ადმინისტრაცია, რომელიც ასეთ პირობებშიც კარგად გრძნობს თავს, თუ მომხმარებლები, რომლებიც ყოველთვის მზათ არიან მხარი დაუჭირონ მოსამსახურეთა მოთხოვნილებებ? ნუ თუ არ არის დრო, რომ ამ საქმეში ჩაერიოს მ. და ჯ. დეპ. საბჭოს მუშათა სექცია, დააკმაყოფილოს მოსამსახურეთა და მომხმარებელთა საჭიროებანი და უპასუხისმგებლო მოხელეები გაძევოს კოოპერატივიდან და მათი ადგილზე დანიშნოს სხვები. დაწესებულებებში მოსამსახურეთაგანი, რომელნიც თანაუგრძნობენ ახალ წყობილებას?

საწევრო წიგნაკის № 1583 პატრონი.

სოც.-დემ. პარტიაში.

ქალ. ლანჩხუთი. 27 აგვისტოს მოხდა ლანჩხუთის ს. დ. მ. პ. კოლექტივის კრება. თანახმად მილიციონერების თხოვნისა, კრებამ დაადგინა გაგზავნოს მათთან პროპაგანდისტი. მოისმინა ქალაქის საარჩევნო კომისიის წევრის მოხსენება და მიიღო ის. პროპაგანდისტთა კოლეგიის შესახებ კრებამ წინადადება მისცა პრეზიდიუმს, რაც შეიძლება მალე მოაწყოს ის. კრებას მოხსენდა კერძო წრის მიერ შემუშავებული წესდება. წრე მოითხოვს არა დამტკიცებას ამ წესდებისას, ის უკვე წრის კრებას დაუმტკიცებია, არამედ კოლექტივის აზრს. წესდების განხილვა მიენდო კომისიას. კრებამ მოისმინა ამხ. ვალოდია გოგუაძის განცხადება. მან აღნიშნა, თუ როგორი ბრძოლა უხდება პარტიას 1905 წლიდან რევოლიუციის დამარცხების შემდეგ. რეაქციონერებთან და ყაჩაღთა რაზმებთან, რომლებიც ხალხს მოსვენებას არ აძლევდნენ. ამ ნიადაგზე მას ბევრი უსიამოვნება შემთხვევია და ბოლოს კიდევაც დაუჭერია ყაჩაღ ნ. ხალვაში და მის ჯგუფს. ის მოითხოვს, რომ დატყვევებული ხალვაში და იმნაირნი არ იქნან განთავისუფლებულნი. ის გამოდის ბრალმდებლად და იმედიც აქვს, ბრალდებებს დაამტკიცებს. ბრალს სდებს ის არა მარტო ყაჩაღებს, არამედ ყველა მაშინდელ გამოჩენილ რეაქციონერებს. ეს მოხსენება გურიის კომიტეტის სხდომაზედაც გაუკეთებია მას. კომიტეტს ის მიუღია და აურჩევია საგამომძიებლო კომისია.

ამხ. გოგუაძე სთხოვს კოლექტივს დახმარების ამ კომისიას მასალების შეგროვებაში, აგრეთვე თვალ-ყური ადევნოს კომისიის მუშაობას. კრებამ მიიღო გოგუაძის თხოვნა. **№.**

მუშათა შორის.

თფილისის საქონლის სადგური. აქ არსებობს ეგრეთ წოდებული სამხედრო ბაქანი, სადაც ხდება ჯარის გადაყვან-გადმოყვანა, გზავნა და სხ. აქ მუშაობენ მორიგეობით მუშები 8 საათს და ცხოვრების კულტურულ მხარესაც ყურადღებას აქცევენ. აქ იცლება ვაგონობით საზამთრო. ბევრ ჯერ ჩადგებოდა ყიდვა-გაყიდვა, რომელიც მუშაობას აფერხებდა. ამისთვის ადგილობრივმა კომიტეტმა აკრძალა სადგურში ვაჭრობა, მაგრამ ზოგიერთი ჯარისკაცების უწესო მოქმედებას საზღვარი არ აქვს. ძალით იტაცებენ დაცლის დროს საზამთროს და ასე ხშირია უსიამოვნება ვაჭარსა და ჯარისკაცებს შორის. ამ რამდენიმე დღის წინათ დაიტაცეს სამი ურემი საზამთრო. ეს ამბავი ტელეფონით აცნობეს სადგურის უფროსის თანაშემწეს ბ. იოსელიანს, მაგრამ მან ყურადღება არ მიაქცია ამ ამბავს—თითქოს არაფერიაო; საქმისადმი ასეთ მოპყრობას ადგილი არ უნდა ქონდეს,—სულ ერთია: ვინც უნდა იყოს ის—უფროსის თანაშემწე, თუ უბრალო მუშა. **სად—ჩანი.**

პროზოროვის მაღაროებში. (ჭიათურის ოლქი). 27 აგვისტოს აქ დიდი მიტინგი გაიმართა. მიტინგის გათავების შემდეგ სოც. რევოლიუციონერმა თედ. პუჩკოვმა წაიკითხა „ლექცია". ის ყოფილა კავკასიაში 1905 წელს. ცხრაას ხუთში, სთქვა ლექტორმა, მოვხვედი კავკასიაში და ჩემის თვალით ვუცქეროდი გლეხების წვას და დაგლეჯას. განმარტა „ლექტორმა" ხალხის შეუგნებლობა და განაგრძო: წვავდენ ოსები და ჩერქეზებიო. მუშებში ლექტორის სიტყვებმა უკმაყოფილება გამოიწვია—ზოგიერთებმა კიდეც წამოიძახეს: გავრეკოთ აქედან ოსები და ჩერქეზებიო. „ლექტორმა" არ აუხსნა ხალხს, ვის სწვავდენ და არც იგი აუხსნა—თუ ოსებს და ჩერქეზებს გარდა რუსებიც ან სხვა ხალხი იღებდა მონაწილეობას წვაში. ამის შემდეგ მეც ადმაცერათ დამიწყეს მუშებმა ცქერა, ვინაიდან მათი აზრით მეც „ჩერქეზი" ვარ. მე არ ვღებულობ მონაწილეობას ესერების პარტიაში, ამიტომ იმასაც კი მეუბნებიან: შენ სოციალ-დემოკრატების და მდიდრების მიმხრე ხარო. სოციალ-დემოკრატებს მიწა ბევრი აქვთო, შენც მდიდარი ხარ და ამიტომ არ გინდა ჩვენ პარტიაში ჩაწერაო. ასე რომ, ვინც ესერების პარტიაში არ ეწერება ისინი ყველა მდიდარი ყოფილა; კარგი, მაგრამ სადაური ღარიბი ხალხია ყველა ის მოიჯარადრეები, ინჟენრები, ვაჭრები და სხ, რომლებიც აქაური ესერების პარტიაში არიან ამ ჟამათ. ესენი ტყავს აძრობდენ დღემდე მუშებს და ახლა გამხდარან პატრონები და ღარიბები.

მუშებს ბევრი არაფერი გაეგებათ. პუჩკოვები კი მათ, ალალაზმა უწყის, რას უქადიან და ეუბნებიან. ამით ცეცხლზე ნავთს ასხამენ, როგორც იტყვიან. ეს არის სოციალისტობა? **ი. მშვ დობაძე.**

ჯარის-კაცთა წერილები.

მიტინგი 17 თურქესტანის მსროლელთა პოლკში. 27 და 28 აგვისტოს, რევოლიუციის ნახევარი წლის თავზე, ფრონტზე ნება დართეს მხედრობას გამართონ მიტინგები. 28 აგვისტოს, მე-17 თურქესტანის მსროლელთა პოლკში, პოლკის კომიტეტმა მოაწყო მიტინგი. ილაპარაკეს სხვადასხვა ორატორებმა. ვისაც მოსკოვის თათბირის ანგარიშები აქვთ წაკითხული, ის ადვილად წარმოიდგენს ჩვენი მიტინგის შინაარსსაც, ვინაიდან ეს მიტინგი შედარებით ისეთივე შინაარსისა იყო, როგორიც მოსკოვის თათბირი. მოსკოვის თათბირმა საერთოდ ყველა კლასებს მისცა ამ დროისულად სამოქმედო პროგრამა. აქ, მიტინგზე დაინახავდით მილიუკოვ-მაკლაკოვ-კალედინების მიმხრეთ ერთის მხრივ და წერეთელ-ჩხეიძის მომხრეთ—მეორე მხრით. აქ თუმცა ზოგიერთები აშკარად არ გაიძახოდენ კომიტეტების გაუქმებაზე, მაგრამ, ნამდვილად კი, უფრო შორს მიდიოდენ. აი, მაგალითად, რა სთქვა თავის სიტყვაში პორუჩიკმა კობზიევმა: „ძველი დისციპლინა არც ისე საშიშოა, როგორც გვეჩვენება, ძველ წესებში ყველაფერი სამართლიანად სწერია, მაგრამ ის იმიტომ სტანჯავდა ჯარისკაცებს, რომ უფროსები არ იქცეოდენ კანონის მიხედვით და თავის ნებით მოქმედებდენო. უნდა აღდგენილ იქნას ძველზე უფრო მკაცრი დისციპლინა, უნდა მიენიჭოს უფროსებს შეუზღუდველი უფლება, მხოლოდ ეს იხსნის სამშობლოს განსაცდელისაგან და სამშობლოს ხსნაშია რევოლიუციის ხსნაცო".

მიუთითეს ცხადად ფრონტზე, ჯარის უკან დახევაზე და ხაზი გაუსვეს იმას, რომ ეს ჯარის პოლიტიკაში ჩარევის ბრალიაო. რომ ჯარის უფროსებს შეუზღუდველი მოქმედების უფლება მიეცეს, ასეთი ამბები არ მოხდებაო.

უფრთხიან რა ესენი სამხედრო კომიტეტების გაუქმების აღიარებას, მათი სიტყვებიდან ისეთი დასკვნა შეიძლება გამოვიყვანოთ, როგორც კორნილოვმა გაატარა თავის სიტყვაში მოსკ. თათბირზე. სახელდობრ ის, რომ „კომიტეტების მოქმედება უნდა განისაზღვრებოდეს სამეურნეო საქმეებში ჩარევით და პოლიტიკაში ჩარევის უფლება არ უნდა ქონდესო". ერთმა აფიცერმა სთქვა მიტინგზე: უნდა გვყავდეს ერთი თავი, რომელიც უნდა განაგებდეს ყოველივეს, ხოლო თუ ყველანი ჩავერევით საქმეში, არაფრის გაკეთება არ შეგვეძლება და სრული ქაოსი გამეფდებაო". ამის შემდეგ კი, დასძინა: „გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკასო". ილაპარაკა აფიცერმა მალიანოვმა, როგორც თითონ ამბობდა შეგნებული სოციალისტი ვარ, ვეკუთვნი პატარა ჯგუფს—პლეხანოვის „ედინსტვოს" და თავის გრძელ სიტყვაში ის აზრი გაატარა, რომ რუსეთის რევოლიუცია ნაციონალური ხასიათის არის, ახლა ხდება პოლიტიკური რევოლიუცია და ვინც ამბობს, რუსეთის რევოლიუცია კლასობრივი ბრძოლის შედეგია და სოციალური რეფორმების შესაძლებლობას სცნობს, ძალიან სცდებაო. მუშებმა ასე იფიქრეს და წამოაყენეს ისეთი დიდი მოთხოვნები, რომელთა დაკმაყოფილება ყოვლად შეუძლებელია და ქვეყანას დაღუპვის კარად მიიყვანსო. მუშათა კლასმა თავი უნდა შეიკავოს, თავის მოთხოვნებს საზღვარი დაუდვას, მათგან მეტი მსხვერპლია საჭირო, რომ პოლიტიკური თავისუფლება შეინარჩუნონ, ახლა მხოლოდ სამშობლო უნდა ახსოვდეთ და დადგება დრო, რომ ის მიაღწევს იმ დიად საწადელს, რომელსაც სოციალიზმი ეწოდებაო. ერთი სიტყვით ჩვენს წინაშე, ჩემის აზრით, იდგა არა სოციალ-დემოკრატი, არამედ უფრო ბურჟუაზიის იდეოლოგი, რომელიც გვეუბნებოდა: „იობის მოთმინება იქონიეთ, თავზე ეკლის გვირგვინი დაიდგით, უსიტყვოდ შეასრულე შენი მოვალეობა და დადგება დრო, როდესაც ყველაფერი თავისით გაკეთდებაო". მოთმინებითა შენითა მოიპოვე სული შენიო. ყველა ორატორებს ღირსეული პასუხი გასცეს ამხ. სემიონკინმა და ვასილიევმა. სემიონკინმა (ს.-რ.) სთქვა: ჩვენ არ გვწყურია გერმანია-ავსტრიის თუ ოსმალეთის დანგრევა-განადგურება, ჩვენ არ გვწყურია მათზე გამარჯვება. ჩვენ გვწყურია რევოლიუციის გამარჯვება, ჩვენ მისთვის ვიბრძვით და თუ მას საფრთხე მოელის, გარედან იქნება იგი თუ შიგნიდან, უკან არ დავიხევთ და მედგრად დავიცავთ მისგან რევოლიუციას, არავის ნებას არ მივსცემთ შემუსროს ჩვენი სისხლით და ოფლით მოპოვებული თავისუფლება. მის დათრგუნვას შესძლებენ მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენს გაციებულ გვამს გადააბიჯებენ. თავისუფალი რუსეთი არ დაილუპება, დემოკრატია მას მედგრად დაიცავსო". ვასილიევმა სთქვა: მუშებს მოუწოდებენ მსხვერპლისაკენ, მაგრამ მათ უკვე იგრძნეს ეს და მსხვერპლიც მიაქვთ თავისუფლების დასაცავადო. მუშათა კლასი ანგარიშს უწევს მდგომარეობას, ივიწყებს თავის გაჭირვებას, უარს ამბობს გაფიცვებზე, უარს ამბობს ელემენტარულ მოთხოვნილებაზედაც კიო. ის ვაჭარ-მრეწველებივით არ იქცევა, რომელნიც აჩერებენ თავიანთ წარმოებებს და მით ქვეყანას კრიზისს უმზადებენო". შემდეგ თავმჯდომარის მოწოდებით კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა თავისუფლებისთვის ბრძოლაში ომში დახოცილთა ხსოვნას და იმღერეს „შენ მსხვერპლი გახდი". ვასილიევის წინადადებით კრებამ სურვილი გამოსთქვა გაეგზავნოს მისასალმებელი დეპეშა მ. ჯ.-კ. და გლეხთა საბჭოების ც. კომიტეტებს და მინისტრთა თავმჯდომარე კერენსკის. ხალხი დაიშალა კმაყოფილი მემარცხენე ორატორების ნალაპარაკევით და უკმაყოფილო მემარჯვენეებით.

შურდული.

—

თავრიზი. (სპარსეთი). აქ არსებობს ქართველ მხედართა კულტურულ-განმანათლებელი წრე, რომელმაც მიზნათ დაისახა არსებულ რევოლიუციონურ ხანაში შემდეგი:

ხელი შეუწყოს რევოლიუციის გამაგრებას და განამტკიცოს მოპოვებული თავისუფლება. ყოველს ახალი დროის მიერ წამოყენებულ კითხვებს შეგნებულათ შეხვდეს.

ამისათვის უწევს რა ანგარიშს იმ გარემოებას, რომ ქართველთა უმეტესობამ არ იცის რუსული ენა და მაშასადამე, არ შეუძლია რევოლიუციონურათ, დროს მიხედვით აღიზარდოს, ამისათვის საჭიროთ სცნობს სამშობლო ენაზე გამართოს დროის შესაფერი ლექციები, რეფერატები, გახსნას სამკითხველო, გაავრცელოს თანამედროვე წიგნები, მოაწყოს ხშირი საუბარი, გამართოს წარმოდგენები და სხვა.

ცალკე გამოსვლა, როგორც ნაციონალური ერთეულისა დაუშვებელია.

ვმაღლდებით რა სულიერათ მშობლიური ენის საშუალებით, მიზნათ ვისახავთ რუსეთის სხვა ერთა რევოლიუციონურ ჯართან ერთად ჩვენც თვისი წვლილი შევიტანოთ იმ ძლიერ დემოკრატიულ რევოლიუციონურ ძალაში, რომელმაც თავზარი უნდა დასცეს ყოველს კონტრ-რევოლიუციონურ ნაბიჯს და დასაწყისშივე ჩაკლას ყოველივე ცდა ძველის დაბრუნებისა.

წრის თავმჯდომარე **რ. ჩხაიძე.**
მდივანი **ა. ძნელაძე.**

—

ხოჭახუდან. მაისიდან დაიწყო ვანის პირით ქურთთა თავ დასხმა. რაც დრო გადის, თან და თან მდგომარეობა უარესდება, ბევრი „ტრანსპორტზე" მომუშავე ჩვენი ამხანაგები გამოასალმეს წუთ სოფელს. დღემდის მთავრობაც და ჯარისკაცებიც, გულ ცივად უყურებდენ ამ მოვლენას. 21 აგვისტოს დატვირთული 16 „ფურგუნი" მიდიოდა თავრიზში, საფდალინის უღელტეხილის ძირში დახვდა მათ ქურთთა ცხენოსანი რაზმი, რიცხვით სამოცამდის, მოჰკლეს ხუთი და დასჭრეს რვა ჯარის კაცი, ცხრა ცხენი თან წაიყვანეს, სხვები იქვე დახოცეს, ქურთები გამარჯვებული გაბრუნდნენ, იქნა ზომები მიღებული. მაინც არაფერი გვეშველა.

26 აგვისტოს იგივე ქურთთა რაზმი, სოუქსულინ საფდალინში მიმავალს ტრანსპორტის ფურგუნებს დაესხენ თავს, მოჰკლეს ორი ჯარის კაცი. ამ ორხი თვის განმავლობაში დიდ გაჭირვებაშიც ვართ და ზარალიც დიდია. საჭიროა ზომების მიღება.

ჯარის-კაცი **ნიკ. დოლიძე.**

—

ვაუწყებთ მშობლებს და ნათესავებს, რომ 12 აგვისტოს, 1 საველე ლაზარეთში გარდაიცვალა ილია ლევინიაშვილი, თფილისის გუბერნიის, გორის მაზრის, ს. ტკვიავის მცხოვრები, რომელიც მსახურობდა მე-25 ე მსროლელ პოლკში, მერვე როტაში. დასაფლავებულია სოფელ მელიკანში. განსვენებულს დარჩა 47 მანეთი. ვთხოვთ განსვენებულის ნათესავებს გაგვაგებინონ მისამართი, რომ აღნიშნული ფული გავუგზავნოთ. ჩვენი ადრესი: Кавказская армія, 25-й Кавказскій Стрѣлковый полкъ, Комитетъ 8-й роты.

ამხანაგების მონდობილობით ჯარისკაცი
ბესარიონ ქანთარია.

—

ქართველ მსროლელთა პოლკის მე-2-ე როტის ჯარისკაცი, ვალერიან ლევანის ძე წითლიძე, ქ. ზუგდიდის მცხოვრები, მოკლულ იქნა ბრძოლის ველზე 8 ივლისს, 1917 წელს.

ჯარისკაცი **რომან წითლიძე.**

—

15 აგვისტოს პოდოლის გუბერნიის ერთ-ერთ სოფელში, ღამის სამ საათზე N... პოლკის უფროსმა გადმოსცა თავის ჯარს, ვითომც ავსტრიელები თავს გვესხმებოდენ. ასტეხეს ღამით სროლა. რამდენიმე ათასი ყუმბარა გაისროლეს ჰაერში უბრალოთ, მასთან პატრონებიც დიდძალი დაიხარჯა. ჯარისკაცებში მოხდა არევ დარევა. რომ გათენდა, გამოიკვლიეს და აღმოჩნდა, რომ შეტაკება კი არა, იქ ერთი კაციც არ ყოფილიყო მტერთაგანი.

დღევანდელ დროში ჩვენი უწესრიგობით გერმანელები კარგათ სარგებლობენ. ნეტავ რისთვის წინა წლებში არ იყო ამნაირი ბრძოლა!..

დღეს ერთი თითოფიც რომ გაისროლონ, ჯვარი და მენდელის წერის მეტი არაფერი არ არის...

ჯარისკაცი **მიხაკო მგელაძე.**

პროვინციის ცხოვრება

სოფ. ზედა ხაჭარა. აქაც ჰპოვა გამოძახილი კორნილოვის აჯანყებამ. რევოლიუციის პირველ დღეებში ხალხი დიდათ იყო დაინტერესებული რევოლიუციის გაღრმავებით, მაგრამ გადიოდა დრო და ხალხსაც ცოტათ გული უგრილდებოდა. კორნილოვის გამოსვლა და ხალხის გამოფხიზლება ერთი იყო. რეაქციის მოციქულებმა ხელად მოქმედება იწყეს აქაც და ამნაირად, ნიადაგი აიხადეს, მაგრამ მშრომელმა ხალხმა იქვე ჩაკლა. საჭიროა უკიდურესი ზომები, რომ სოფელი განიკურნოს რეაქციონერებისგან.

აგვისტოს ბოლოსს აქ გაიმართა წარმოდგენა—საღამო. ხალხი ბლომათ დაესწრო. პიესა „და ძმა" დროს შეუფერებელია, გულა მით უმეტეს. მეორე სცენათ იქცა სოფლად საღამოების მართვა, რაც მეტადრე უსარგებლოა—პირ იქით, საზარალოა. ისეთი საღამოები, როგორიცაა ღვინით ქეიფი, აბა რა სასარგებლოა? ხალხზე ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებს, მით უმეტეს, სიმთვრალეს აწევს მოინტელიგენტო ხალხი და ხანდიხან ჩხუბითაც კი თავდება. როგორც ირკვევა, საღამომ ზარალიც დასტოვა. საღამო იყო გამართული საქარის სამკითხველოს სასარგებლოთ და არჩევნების ფონდის გასაძლიერებლათ.

დეზერტირები თუმცა ამ სოფლათ ცოტაა, მაგრამ საქარის საზოგადოებაში (ექვსი სოფელი შედის) კი ბლომათაა. ეს ვაჟბატონები არ ცხრებიან. კისრულობენ ნაძირალების როლს. ამას წინათ საქარის საზოგადოების კომისარს ვ. ფერაძეს უსახელო მუქარის წერილი მოუვიდა, სადაც მას მოკვლას პირდებიან, თუ მან მათ წინააღმდეგ რამე სთქვა. რას უშენებიან ეს ვაჟბატონები თავის სინდისს, როცა ძალა უნებურად ასეთ მოქმედებით რეაქციას უმსახურებიან? უსახელო წერილს აწერია „სალდათები". აქაც დიდი დანაშაულობაა, როცა ყველათ გამოქცეულთა სახელით იმუქრებიან. მაგრამ მე მგონია ყველა დეზერტირები არ იზიარებენ მათ აზრს.

წელს მოსავალს შედარებით სხვა წლებთან უკეთესი პირი უჩანს.

საქარელი მ.

სად. აქსტაფა ვერ გამოიყენა თავისუფლება ადგილობრივმა ხალხმა. ჯერ კიდევ მაზრში სისხლის აღებას გასავალი აქვს. ამ ნიადაგზე იარაღსაც კი იღებენ. არ გაივლის დღე, რომ რკინის გზის ადმინისტრაციულ კომიტეტს არ მოუვიდეს ცნობა გზის დარაჯების გაქურდვის შესახებ. დარაჯები შიშით ლიანდაგს აღარ სდარაჯობენ ღამე და ვინ იცის, რა უბედურება არ დატრიალდება ამ ნიადაგზე. ყაჩაღები ახლა უფრო წათამამდენ და აშკარათ ძარცვა-გლეჯა დაიწყეს. თუ სადგურს ცოტათი მოშორდით, მაშინვე გაგძარცვავენ. არავინ არ იცის როდის მოეღება ბოლო ამ უწესოებას. 3 სექტემბერს სადგურის მახლობლათ გაძარცვეს მ-ხა ჩუჩულაშვილი და ვანო ქეჩხუაშვილი. წაართვეს: პირველს სანადირო თოფი და 25 მან., მეორეს სამი მან. და ორთავეს საშინლათ სცემეს. ადგილობრივი დემოკრატიული ძალები სუსტია; რკინის გზის მუშა-მოსამსახურეების ორგანიზაციებს თითქმის არავითარი დამოკიდებულება არ აქვს ადგილობრივ მცხოვრებლებთან. ამას ხელს უშლის ადგილობრივი ენის უცოდინარობა. **აქსტაფელი.**

სად. ერევანი. 30 აგვისტოს თფილისიდან აქ ჩამოვიდა საგანგებო კომისია. კომისიის მიზანი იყო ადგილობრივ კომიტეტებთან ერთად მუშა-მოსამსახურეთა თანადასწრებით გამოერკვიათ საჭირბოროტო კითხვები და მოეწესრიგებინათ ყოველგვარი სადავო კითხვები, თუ კი ასეთი არსებობდა. კომისიას სწორედ იმ დროს მოუხდა ჩამოსვლა, როდესაც კორნილოვის ავანტიურის შესახებ ახალ მიღებული იყო ცნობები. კრება შესდგა რკ. გზ. სამკითხველოს შენობაში, სადაც გზის უფროსი ოკუნევი და ამხ. ი. მალანია ესაუბრენ ხალხს და მოუწოდეს ენერგიულ და შეგნებულ მუშაობისაკენ. ერევნიდან კომისია გაემგზავრა ულუხანლუსაკენ, სადაც შესდგა ადგილობრივ რკ. გზის კომიტეტის სხდომა მუშა-მოსამსახურეების თანადასწრებით, რომელზედაც მოწესრიგებულ იქნა მრავალი კითხვები ადგილობრივ ცხოვრებიდან. სადგურთან გაიმართა ადგილობრივ გარნიზონის ჯ.-კაც. და მუშა-მოსამსახურ. მიტინგი. ილაპარაკეს—მალანიამ, ფირუმოვმა და ვ. ნინიძემ. მიტინგმა დეპეშა გაუგზავნა კერენსკის და ნდობა გამოუცხადა. ულუხანლუდგან კომისია გაემგზავრა ალექსანდროპოლისაკენ. გზაში სადგურებზე კომისიის წევრები ეცნობოდენ მუშა-მოსამსახურეების ყოფა-ცხოვრებას. სადგურ არაქსზე თანახმად წინდაწინვე გაგზავნილი დეპეშისა, თავს მოეყარა რკინის გზის დამცველ ბატალიონის თავიანთი აფიცრებით და მუშა-მოსამსახურებსაც. ჯარისკაცები მოუთმენლად მოელოდენ კორნილოვის ამბის გაგებას. [illegible] მოლოდინი სამხედრო მატარებლების [illegible] ჯარისკაცები და [illegible] მიმართეს სიტყვებით ორატორებმა ჯარისკაცებს. ჯარმა მქუხარე ტაშით დააჯილდოვა ორატორები და გამოსთქვეს აზრი, რომ ერთგულნი დარჩებიან ხალხის ინტერესებისა.

ეს. მეგრელი.

წერილები რედაქციის მიმართ

გთხოვთ დაბეჭდოთ შემდეგი: ჩვენ, კავკასიის პირველი კორპუსის „ტრანსპორტის" სარიყამიშში მომუშავე მეურმეები ამა წლის 12 მაისს შევიკრიბეთ დ. ჩოხატაურში და დავადგინეთ ჩოხატაურის აღმასრულებელი კომიტეტის წევრების თანდასწრებით შემდეგი: იმ ფულების ადება, რომელიც ჩვენ გვერგება ბ. დ. ძნელაძისაგან და ა. მგალობლიშვილისაგან მიენდოს ჩოხატაურის აღმასრულებელ კომიტეტს. აღმასრულებელმა კომიტეტმა თავის თავზე მიიღო შუამდგომლობის აღძვრა თუ სხვა, მაგრამ ჯერ არაფერი არ ისმის. ამ პატარა წერილით უმორჩილესად ვსთხოვ კომიტეტს გაზეთის ან სხვა საშუალებით გვაცნობოს საქმის ვითარება.

პატივის ცემ. **ქ. დოლიძე.**
ნოვოროსიისკი, ძველი ცემენტის ქარხანა.

ექიმები:
დ. გ. ჟორდანია და ა. ა. ერეციანი
იღებენ ავათმყოფებს შინაგან, ბავშვების, ავათმყოფობა სიფილისა, ქრონიკული მალიარია, შარდის წილების (ქრონიკული ტრიპერი) სიფილისი და მისი შედეგები. წამლობა ერლიხის პრეპარატებით „914" და „616" შინაგანი ცენისა სქესობრივი სისუსტე და ელექტრონით წამლობა.
მიღება ყოველ დღე, გარდა კვირა დღისა საღამოს 5—8 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლი № 52 ბინა 1. (10—10)

ქუთაისი
ექიმი **ვალერიან ლორთქიფანიძე**
იღებს შინაგან, ბავშვთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე. დილის 11—2 საათამდის, საღამოს 7—9 საათამდი პუშკინის ქუჩა, ვიტმანისკის სახლში.

ქ. ქუთაისი.
ექიმი მ. ი. ჩხენკელი
იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფს ყოველ დღე, დილის 9 საათიდან—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქუთაისი, ბალახვანის ქ., მაჭრაძის სახლი.

მედიცინის დოქტორი
გ. გ. მეგრაბიანცი
ჩამოვიდა და განაახლა ავათმყოფების მიღება. შინაგანი ავათმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა სხივებით. დიდი სელინოიდი არსონვალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავათმყოფობისათვის. ყოველდღე დილის 9—1საათამდე, საღამოს 6—8-მდე. ბებუთოვის ქუჩა № 23, ტელეფონი 7—92.

ექიმი კ ი ბვარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებანი
ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა.
[illegible] ქუჩა, № 4, სასტუმრო [illegible] ტელეფ. 15—00.

ექიმი ა. დ. კეკელია
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოთიბით 6—8 საათამდე. კანის, ვენერიულ და ბათშანგით (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტ. „ნოის" პირდაპირ.

ქუთაისი
ექიმ გ. ი. გოგიელის
ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავათმყოფთათვის, ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათამდე

ექიმი
დ. ი. ჟორდანია
იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სპეციალურათ ქრონიკული მალიარია და ქრონიკული ტრიპერი. საღამოს 5—6 საათამდე გარდა სამშაბათისა. გორის ქუჩა № 6 (დიდუბე)

ექიმის თანაშემწე
ვლ. ი. თავართქილაძე
დებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე საღამოს 4—6 საათამდე. ყვავილის აცრა, კანს ქვეშ წამლის შეშხაპუნება, მასაჟი და ელექტრიზაცია. ტრინიკური ქუჩა, № 4

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულ სნეულებით ყოველ დღე 3—6 ნახ. საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რამზიევის ქუჩა, № 19.

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე კვირას გარდა, საღ. 5—7 საათამდის. გუნიბის ქ. № 41.